



სარჩელის რეგისტრაციის N \_\_\_\_\_

მიღების თარიღი: \_\_/\_\_/\_\_

## კონსტიტუციური სარჩელი

საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით საქართველოს ნორმატიული აქტის შესაბამისობის თაობაზე („საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი)

კონსტიტუციური სარჩელის ფორმასთან დაკავშირებით, კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე +995 422-27-00-99 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მისამართზე: [const@constcourt.ge](mailto:const@constcourt.ge); ვებგვერდი: [www.constcourt.ge](http://www.constcourt.ge).

თუ რომელიმე პუნქტის შესავსებად გამოყოფილი ადგილი არ იქნება საკმარისი, შეგიძლიათ ფორმას დამატებითი გვერდი დაურთოთ. ყოველ დამატებით გვერდზე გადაიტანეთ იმ პუნქტის სათაური, რომელსაც ავსებთ. წერის დასრულების შემდეგ ფორმა დანომრეთ.

# I. ფორმალური ნაწილი

## 1. მხარეთა რეკვიზიტები

### 1.1 მოსარჩელე/მოსარჩელები

საქართველოს სახალხო დამცველი		დავით აღმაშენებლის გამზირი N150, თბილისი 0112.
სახელი, გვარი/სახელწოდება	პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი	მისამართი
		<a href="mailto:info@ombudsman.ge">info@ombudsman.ge</a>
ალტერნატიული მისამართი	ტელეფონი	ელექტრონული ფოსტა

### 1.2 მოსარჩელის წარმომადგენელი/წარმომადგენლები

1. მიხეილ შარაშიძე	1. 01024026313	1. მ. ასათიანის ქ. N12, ბ. N27, თბილისი 0177
2. ეკა მამრიკიშვილი	2. 60001149985	2. დავით აღმაშენებლის გამზირი N150, თბილისი 0112.
სახელი, გვარი/სახელწოდება	პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი	მისამართი
	1. 595 22 55 30	1. msharashidze@ombudsman.ge
	2. 595 733 788	2. emamrikishvili@ombudsman.ge
ალტერნატიული მისამართი	ტელეფონი	ელექტრონული ფოსტა

### 1.3. მოპასუხე/მოპასუხეები

საქართველოს პარლამენტი	თბილისი, რუსთაველის გამზირი N8, 0118.	+995 32 2 28 16 79
სახელწოდება	მისამართი	ტელეფონი

## 2. სადავო ნორმატიული აქტი

### ა) აქტის დასახელება

საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ მიმღების/გამომცემის დასახელება	მიღების/ გამოცემის თარიღი
საქართველოს პარლამენტი	04/12/2009-08/12/2009

### ბ) სადავო ნორმა/ნორმები [შენიშვნა 1](#)

საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 34<sup>1</sup> მუხლის მე-7 პუნქტის პირველი წინადადების სიტყვები: " საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო...თავის მიერ განსაზღვრული პროცედურით ატარებს ფარულ კენჭისყრას კანდიდატის შემდგომ ეტაპზე გადაყვანის თაობაზე. "

მე-2 წინადადება: "საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე საბჭოს თითოეული წევრი ბიულეტენში ფარულად შემოხაზავს არაუმეტეს იმ რაოდენობის კანდიდატს, რამდენი ვაკანსიაცაა გამოცხადებული."

მე-8 წინადადება: " თუ შერჩევის პროცედურის დაწყება გამოცხადებულია უზენაესი

შენიშვნა 1 - გთხოვთ, მიუთითოთ ნორმატიული აქტის კონკრეტულად რომელ ნაწილს – პრეამბულას, კარს (წიგნს), თავს, მუხლს, პუნქტს, ქვეპუნქტს, წინადადებას (სასვენ ნიშანს ან/და კავშირს) ან/და სიტყვას ხდით სადავოდ.

---

სასამართლოს მოსამართლის 1 ან 2 ვაკანსიისთვის, ჩატარებული კენჭისყრის საფუძველზე შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადადის გამოცხადებულ ვაკანსიაზე 3-ჯერ მეტი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი."

მე-9 წინადადება: "თუ შერჩევის პროცედურის დაწყება გამოცხადებულია უზენაესი სასამართლოს მოსამართლის არანაკლებ 3 ვაკანსიისთვის, ჩატარებული კენჭისყრის საფუძველზე შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადადის გამოცხადებულ ვაკანსიაზე 2,5-ჯერ მეტი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი (შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადამსვლელი კანდიდატების რაოდენობა განისაზღვრება ნამრავლის მთელი რიცხვით)."

მე-10 წინადადება: "კანდიდატთა მიერ თანაბარი რაოდენობის ხმების მიღების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება იმ კანდიდატს, რომელსაც აქვს სპეციალობით მუშაობის უფრო ხანგრძლივი გამოცდილება. "

მე-12 პუნქტის 1-ლი, მე-2, მე-3 წინადადებები: "საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო კანდიდატების მოსმენის დასრულების შემდეგ, უახლოეს სხდომაზე, ამ მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი წესით, ფარულად უყრის კენჭს კანდიდატებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების გამოცხადებული ვაკანსიის რაოდენობამდე დაყვანის მიზნით. შემდგომ ეტაპზე გადადის საუკეთესო შედეგის მქონე იმ რაოდენობის კანდიდატი, რამდენი ვაკანსიაცაა გამოცხადებული. კანდიდატთა მიერ თანაბარი რაოდენობის ხმების მიღების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება იმ კანდიდატს, რომელსაც აქვს სპეციალობით მუშაობის უფრო ხანგრძლივი გამოცდილება."

მე-13 პუნქტის 1-ლი, მე-2 წინადადებები: "ამ მუხლის მე-12 პუნქტით დადგენილი წესით კანდიდატთა სიის გამოქვეყნების შემდეგ კენჭი სათითაოდ ეყრება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენას. კანდიდატი წარდგენილად ჩაითვლება, თუ მას საბჭოს ღია სხდომაზე, ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი. "

---

**3. საქართველოს კონსტიტუციის დებულება (დებულებანი), რომელსაც ეწინააღმდეგება სადავო ნორმატიული აქტი.**

ა) გთხოვთ, მიუთითოთ კონსტიტუციის შესაბამისი მუხლი, პუნქტი, ქვეპუნქტი ან/და წინადადება.

საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტი: "საქართველოს ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება დაიკავოს ნებისმიერი საჯარო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. საჯარო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით."

31-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება: "ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია."

ბ) იმ შემთხვევაში, თუ სადავო ნორმების შემოწმებას საქართველოს კონსტიტუციის რამდენიმე მუხლთან ითხოვთ, გთხოვთ, დააზუსტოთ, რომელ სადავო ნორმას კონსტიტუციის რომელ მუხლთან, პუნქტთან, ქვეპუნქტთან ან/და წინადადებასთან ხდით სადავოდ. [შენიშვნა 2](#)

სადავო ნორმატიული აქტი (ნორმა)	საქართველოს კონსტიტუციის დებულება
<p>საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 34<sup>1</sup> მუხლის მე-7 პუნქტის პირველი წინადადების სიტყვები: "საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო...თავის მიერ განსაზღვრული პროცედურით ატარებს ფარულ კენჭისყრას კანდიდატის შემდგომ ეტაპზე გადაყვანის თაობაზე."</p> <p>მე-2 წინადადება: "საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე საბჭოს თითოეული წევრი ბიულეტენში ფარულად შემოხაზავს არაუმეტეს იმ რაოდენობის კანდიდატს, რამდენი ვაკანსიაცაა გამოცხადებული."</p> <p>მე-8 წინადადება: "თუ შერჩევის პროცედურის დაწყება გამოცხადებულია უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 1 ან 2 ვაკანსიისთვის, ჩატარებული კენჭისყრის საფუძველზე შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადადის გამოცხადებულ ვაკანსიაზე 3-ჯერ მეტი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი."</p> <p>მე-9 წინადადება: "თუ შერჩევის პროცედურის დაწყება გამოცხადებულია უზენაესი სასამართლოს მოსამართლის არანაკლებ 3 ვაკანსიისთვის, ჩატარებული კენჭისყრის საფუძველზე შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადადის გამოცხადებულ ვაკანსიაზე 2,5-ჯერ მეტი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი (შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადამსვლელი კანდიდატების რაოდენობა განისაზღვრება ნამრავლის მთელი რიცხვით)."</p>	<p><i>საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტი</i> - „საქართველოს ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება დაიკავოს ნებისმიერი საჯარო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.“</p> <p><i>საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი</i> - „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია.“</p>

შენიშვნა 2 - გთხოვთ, ქვემოთ მოყვანილ ველში მიუთითოთ კონკრეტული სადავო ნორმა და მის გასწვრივ საქართველოს კონსტიტუციის ის დებულება, რომლის მიმართაც მოითხოვთ აღნიშნული სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას.

<p>მე-10 წინადადება: "კანდიდატთა მიერ თანაბარი რაოდენობის ხმების მიღების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება იმ კანდიდატს, რომელსაც აქვს სპეციალობით მუშაობის უფრო ხანგრძლივი გამოცდილება. "</p> <p>მე-12 პუნქტის 1-ლი, მე-2, მე-3 წინადადებები: " საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო კანდიდატების მოსმენის დასრულების შემდეგ, უახლოეს სხდომაზე, ამ მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი წესით, ფარულად უყრის კენჭს კანდიდატებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების გამოცხადებული ვაკანსიის რაოდენობამდე დაყვანის მიზნით. შემდგომ ეტაპზე გადადის საუკეთესო შედეგის მქონე იმ რაოდენობის კანდიდატი, რამდენი ვაკანსიაცაა გამოცხადებული. კანდიდატთა მიერ თანაბარი რაოდენობის ხმების მიღების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება იმ კანდიდატს, რომელსაც აქვს სპეციალობით მუშაობის უფრო ხანგრძლივი გამოცდილება."</p> <p>მე-13 პუნქტის 1-ლი, მე-2 წინადადებები: "ამ მუხლის მე-12 პუნქტით დადგენილი წესით კანდიდატთა სიის გამოქვეყნების შემდეგ კენჭი სათითაოდ ეყრება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენას. კანდიდატი წარდგენილად ჩაითვლება, თუ მას საბჭოს ღია სხდომაზე, ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი. "</p>	

**4.საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის სამართლებრივი საფუძვლები: შენიშვნა 3**  
 საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის "ა" „დ“ ქვეპუნქტის, "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის

შენიშვნა 3 - გთხოვთ, მიუთითოთ საქართველოს კონსტიტუციის და კანონმდებლობის ის ნორმები, რომლებიც უფლებას გაძლევთ მიმართოთ საკონსტიტუციო სასამართლოს.

---

პირველი პუნქტის "ბ" და „ე“ ქვეპუნქტები, 34-ე მუხლი და 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

---

## II.სარჩელის საფუძვლიანობა, მოთხოვნის არსი და დასაბუთება

### 1.განმარტებები სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებასთან დაკავშირებით

გთხოვთ, დაასაბუთოთ, რომ არ არსებობს თქვენი სარჩელის საკონსტიტუციო სასამართლოში არსებითად განსახილველად არმიღების საფუძვლები. [შენიშვნა 4](#)

ა) ფორმით და შინაარსით შეესაბამება „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის 31<sup>1</sup>-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) შეტანილია უფლებამოსილი სუბიექტის - საქართველოს სახალხო დამცველის მიერ.

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობას კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან მიმართებით.

გ) სარჩელში მითითებული საკითხი არის საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი;

დ) სარჩელში მითითებული საკითხი არ არის გადაწყვეტილი საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ.

ე) სარჩელში მითითებული საკითხი რეგულირდება კონსტიტუციის მე-25 მუხლის პირველი პუნქტით; მე-31 მუხლის პირველი პუნქტით.

ვ) კანონით არ არის დადგენილი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა და შესაბამისად, არც მისი არასაპატიო მიზეზით გაშვების საკითხი დგება დღის წესრიგში;

ზ) სადავო კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტის კონსტიტუციურობაზე სრულფასოვანი მსჯელობა შესაძლებელია ნორმატიული აქტების იერარქიაში მასზე მაღლა მდგომი იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე მსჯელობის გარეშე, რომელიც კონსტიტუციური სარჩელით გასაჩივრებული არ არის;

---

შენიშვნა 4 - „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის თანახმად კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება განსახილველად არ მიიღება, თუ: ა) ფორმით ან შინაარსით არ შეესაბამება ამ კანონის მე-16 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს; ბ) შეტანილი არ არის უფლებამოსილი პირის ან ორგანოს (სუბიექტის მიერ); გ) მასში მითითებული არც ერთი სადავო საკითხი არ არის საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი; დ) მასში მითითებული ყველა სადავო საკითხი უკვე გადაწყვეტილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, გარდა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა; ე) მასში მითითებული არც ერთი სადავო საკითხი არ არის გადაწყვეტილი საქართველოს კონსტიტუციით; ვ) არასაპატიო მიზეზით დარღვეულია მისი შეტანის კანონით დადგენილი ვადა; ზ) სადავო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე სრულფასოვანი მსჯელობა შეუძლებელია ნორმატიული აქტების იერარქიაში მასზე მაღლა მდგომი იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე მსჯელობის გარეშე, რომელიც კონსტიტუციური სარჩელით გასაჩივრებული არ არის.





### *შესავალი*

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში 2019 წლის 1 მაისს შეტანილი ცვლილებების შემდგომ 34<sup>1</sup> მუხლი განსაზღვრავს უზენაესი სასამართლოს თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის წესს, რომლის მიხედვითაც საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ამ კანონით დადგენილი წესით იწყებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურას. აღნიშნული ნორმა სრულად და ამომწურავად განსაზღვრავს იმ შერჩევის წესს რომელიც ექსკლუზიურად უზენაესი სასამართლოს კანდიდატებისათვის შერჩევის პროცედურაზე ვრცელდება. შესაბამისად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული ზოგადი ნორმები, ასევე წესები რომელიც უკავშირდება რაიონული და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებისათვის შესარჩევ კონკურსს, არ ვრცელდება 34<sup>1</sup> მუხლზე.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის წესი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველ პუნქტს და 31-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებას. საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება დაიკავოს ნებისმიერი საჯარო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. 31-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით კი, უზრუნველყოფილია ნებისმიერი პირის უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

ზემოაღნიშნული შერჩევის წესის არაკონსტიტუციურობა, ჩვენი აზრით, მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის წესი ვერ უზრუნველყოფს შერჩევის სამართლიანი პროცედურით იმ კანდიდატებს, რომლებიც აკმაყოფილებენ შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მათ გაუმართლებლად უზღუდავს შესაძლებლობას, საკუთარი პროფესიული, თუ სხვა პიროვნული უპირატესობების შესაბამისად იქნენ შერჩეულნი საქართველოს პარლამენტის წინაშე წარსადგენად. გარდა ამისა, შერჩევის პროცედურა კანდიდატებს ასევე ართმევს იმის შესაძლებლობას, რომ ამ პროცესში მათ მიმართ მიღებული დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება გაასაჩივრონ სასამართლოში და, მათ შორის, ამით უზრუნველყონ საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლების დაცვა, ან დარღვეული უფლების აღდგენა.

### *ფაქტების აღწერა*

საქართველოს კონსტიტუციის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს შემადგენლობაში შედის არანაკლებ 28 მოსამართლე. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს იუსტიციის

---

შენიშვნა 5 - გთხოვთ, წარმოადგინოთ დასაბუთება სადავო ნორმის (ნორმების) კონსტიტუციის მითითებულ ნორმასთან შეუსაბამობის თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ სადავო ნორმის (ნორმების) შემოწმებას საქართველოს კონსტიტუციის რამდენიმე მუხლთან ითხოვთ, გთხოვთ, ცალ-ცალკე წარმოადგინოთ დასაბუთება. იმ შემთხვევაში, თუ ეყრდობით საკონსტიტუციო სასამართლოს, საქართველოს საერთო სასამართლოს, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ან საზღვარგარეთის ქვეყნების სასამართლო გადაწყვეტილებებს, გთხოვთ მიუთითოთ საქმის დასახელება და გადაწყვეტილების შესაბამისი პარაგრაფი.

უმაღლესი საბჭოს წარდგინებით უვადოდ, ორგანული კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე, სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის ამჟამად მოქმედი წესი, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა 2019 წლის პირველ მაისს. მხედველობაშია მისაღები ის, რომ მანამდე მოქმედი რეგულაციებით გათვალისწინებული არ იყო კანდიდატთა შერჩევის პროცედურა და იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ხმათა ორი-მესამედით, კანდიდატთა ყოველგვარი წინასწარი შერჩევის გარეშე და მხოლოდ საკუთარი შეხედულებით იღებდა გადაწყვეტილებას თუ ვის კანდიდატურას წარადგენდა საქართველოს პარლამენტის წინაშე. კერძოდ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 2019 წლის პირველ მაისამდე მოქმედი რედაქციის 34-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილი იყო მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების გარეშე, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად, საქართველოს პარლამენტისთვის წარედგინა კანდიდატურა, რომლის პროფესიული გამოცდილება, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა 2/3-ის შეფასებით, შესაფერისი იყო უზენაესი სასამართლოს მოსამართლის მაღალი სტატუსისათვის. იგივენაირად ხდებოდა, ასევე, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენაც.

როგორც 2019 წლის პირველ მაისს მიღებული საკანონმდებლო ცვლილების პროექტის განმარტებით ბარათშია მითითებული, შესაბამისი კანონპროექტით განისაზღვრა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატების წარდგენისა და არჩევის „უპრეცედენტოდ“ გამჭვირვალე, საჯარო, ღია და ხანგრძლივი პროცესი, რასაც, თავის მხრივ, კანონპროექტის ავტორთა აზრით, უნდა შეექმნა **მაღალი კვალიფიკაციითა და კეთილსინდისიერებით** გამორჩეული კანდიდატების არჩევის წინაპირობა.<sup>1</sup>

გარდა ამისა, იმ უმნიშვნელოვანესი ფუნქციიდან გამომდინარე, რომელსაც საქართველოს უზენაესი სასამართლო ასრულებს, კანონპროექტის ავტორებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, საკანონმდებლო დონეზე დეტალურად ყოფილიყო გაწერილი იმგვარი პროცედურული ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მართლმსაჯულების განმახორციელებელი უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს შესაფერისი მოსამართლეებით დაკომპლექტებას.<sup>2</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კანონპროექტის ავტორთა დასკვნით, აუცილებელი იყო უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შერჩევის პროცესი, **მოსამართლეთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები** და საბჭოს მიერ შერჩეული კანდიდატების საქართველოს პარლამენტისთვის ასარჩევად წარდგენის პროცედურები, საკანონმდებლო დონეზე, ისე ყოფილიყო განსაზღვრული, რომ, ერთი მხრივ, **შესაფერის კანდიდატს მისცემოდა პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა და, მეორე მხრივ, საზოგადოებას ნდობა გასჩენოდა აღნიშნული პროცესის მიმართ.**<sup>3</sup>

ამრიგად, ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ **ახლებურად განისაზღვრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატების იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შერჩევის პროცედურა**, კერძოდ კი, **დეტალურად განისაზღვრა**

<sup>1</sup> <https://info.parliament.ge/#law-drafting/17447>

<sup>2</sup> იქვე;

<sup>3</sup> იქვე;

*მოსამართლეთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები* და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შერჩეული კანდიდატების საქართველოს პარლამენტისთვის ასარჩევად წარდგენის პროცედურა.<sup>4</sup>

2019 წლის პირველ მაისის ცვლილებით შექმნილი შერჩევის პროცედურა, პირობითად, შესაძლებელია დაიყოს 4 ეტაპად:

**პირველ ეტაპზე**, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ვაკანსიის წარმოშობამდე არაუგვიანეს 3 თვისა ან უზენაესი სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტიდან არაუგვიანეს 1 თვისა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ამ კანონით დადგენილი წესით იწყებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურას. იუსტიციის უმაღლესი საბჭო შერჩევის პროცედურის დაწყებას აცხადებს საჯაროდ, საქართველოს ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოს და თავისი ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით, ასევე, შესაბამის ინფორმაციას აწვდის საზოგადოებრივ მაუწყებელს და არანაკლებ 2 ეროვნულ მაუწყებელს.

ორგანული კანონის 34<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ადგენს პირის მიერ შერჩევის პროცედურაში მონაწილეობისათვის წარსადგენი განცხადების ფორმას და თანდართული დოკუმენტების ნუსხას. შესაბამისი პირის მიერ წარდგენილი განცხადება და დოკუმენტები უნდა შეიცავდეს სათანადო ინფორმაციას მის მიერ მოსამართლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების თაობაზე. ამასთან, იგივე მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულია, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ვაკანსიაზე განცხადებების მიიღება შერჩევის პროცედურის დაწყებიდან 3 კვირის განმავლობაში.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34<sup>1</sup> მუხლის მე-4 პუნქტი განსაზღვრავს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო, განცხადებების მიღების ვადის ამოწურვიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, განიხილავს შერჩევის პროცედურაში მონაწილე პირთა განცხადებებსა და თანდართულ დოკუმენტებს. იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას პირის კანდიდატად რეგისტრაციის შესახებ, თუ იგი ფორმალურად აკმაყოფილებს მოსამართლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და მას ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, სრულყოფილად აქვს წარდგენილი განცხადება და თანდართული დოკუმენტები.

გასათვალისწინებელია, რომ განმცხადებელს უფლება აქვს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზემოაღნიშნული მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში გაასაჩივროს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში, რომელიც, თავის მხრივ, 2 დღის ვადაში იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. ამდენად, საბუთების გადარჩევის პირველ, ფორმალურ ეტაპზე უზრუნველყოფილია სასამართლო კონტროლი.

შერჩევის პროცედურის *მეორე ეტაპზე*, იუსტიციის უმაღლესი საბჭო „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და საჩივრის განხილვის ვადების გასვლიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, მის მიერ განსაზღვრული პროცედურით, ატარებს *ფარულ კენჭისყრას* კანდიდატის შემდგომ ეტაპზე გადაყვანის თაობაზე. კერძოდ,

<sup>4</sup> იქვე;

---

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე საბჭოს თითოეული წევრი ბიულეტენში ფარულად შემოხაზავს არაუმეტეს იმ რაოდენობის კანდიდატს, რამდენი ვაკანსიაცაა გამოცხადებული.

მხედველობაშია მისაღები, რომ თუ შერჩევის პროცედურის დაწყება გამოცხადებულია უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 1 ან 2 ვაკანსიისთვის, ჩატარებული კენჭისყრის საფუძველზე, შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადადის გამოცხადებულ ვაკანსიაზე 3-ჯერ მეტი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი. თუ შერჩევის პროცედურის დაწყება გამოცხადებულია უზენაესი სასამართლოს მოსამართლის არანაკლებ 3 ვაკანსიისთვის, ჩატარებული კენჭისყრის საფუძველზე შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადადის გამოცხადებულ ვაკანსიაზე 2,5-ჯერ მეტი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ორგანული კანონის 34<sup>1</sup> მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, თუ კანდიდატთა რაოდენობა შემდგომ ეტაპზე გადასაცვანთა კვოტაზე ნაკლებია, ან მისი ტოლია, ეს კანდიდატები შერჩევის შემდგომ ეტაპზე კენჭისყრის გარეშე გადადიან.

უნდა ითქვას, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34<sup>1</sup> მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, მართალია უნდა ხელმძღვანელობდნენ ამავე ორგანული კანონის 35<sup>1</sup> მუხლის პირველი და მე-13-მე-14 პუნქტებით განსაზღვრული კრიტერიუმებით, თუმცა, არ არსებობს რაიმე მექანიზმი, რომელიც გააკონტროლებდა საბჭოს წევრთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ამ კრიტერიუმებთან შესაბამისობას. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კენჭისყრის მიზანს, შერჩევის პროცედურის ამ ეტაპზე, წარმოადგენს არა იმდენად საუკეთესო კანდიდატების გამოვლენა, არამედ, მათი საბჭოს წევრთა სუბიექტური შეხედულების შესაბამისად გადარჩევა, ამ გზით კანდიდატების კონკრეტულ რაოდენობამდე დაყვანა და შემდეგ ეტაპზე მათი ამ ფორმით გადაყვანა.

ის, რომ ეს პროცესი კონსტიტუციურ-სამართლებრივი თვალსაზრისით მართლაც პრობლემურია, ამას ადასტურებს საქართველოს სახალხო დამცველის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგები.<sup>5</sup> კერძოდ, სახალხო დამცველი დამოუკიდებლად აკვირდებოდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პროცესს. აღნიშნული პროცესის ფარგლებში, 2019 წლის 20 ივნისს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გაიმართა პირველი ფარული კენჭისყრა. კენჭისყრის შედეგად გამოვლინდა შემდეგ ეტაპზე გადასული უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის 50 კანდიდატი. იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გამართულმა პირველმა ფარულმა კენჭისყრამ და მასზე დაკვირვების შედეგებმა გამოავლინა ის პრობლემები და ხარვეზები, რაც აღნიშნული პროცესს ახლავდა თან და *საფრთხეს უქმნიდა მის კონსტიტუციის შესაბამისი სტანდარტით წარმართვას.*

ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის 1 მაისს მიღებული კანონით, საბჭოს წევრებმა მოსამართლეობის კანდიდატები, თითოეულ ეტაპზე, კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებით უნდა შეაფასონ, თუმცა, კანონში ამის უზრუნველყოფელი რაიმე სამართლებრივი მექანიზმი არ ჩადებულა. აღსანიშნავია, რომ არც საბჭოს მიერ განსაზღვრულა რაიმე ისეთი პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფდა მოსამართლეების შერჩევას ამ კრიტერიუმებზე დაყრდნობით. აღნიშნულმა ვითარებამ კი, ჩვენი აზრით, შექმნა ისეთი გარემო, რომელმაც შესაძლებელი გახადა შერჩევის პროცედურიდან გამოთიშულიყო კანდიდატი, რომელიც კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებით სხვებს ჯობნიდა.

---

<sup>5</sup> <http://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsveli-ekhmianeba-uzenaesi-sasamartlos-mosamartleebis-sherchevis-mimdinare-protsess>

მხედველობაშია მისაღები, რომ თავად საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც ფარულ კენჭისყრას ითვალისწინებს, არ მოითხოვს მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებას და არ იძლევა მისი გასაჩივრების შესაძლებლობას, რაც პრობლემურად იქნა მიჩნეული როგორც ვენეციის კომისიის,<sup>6</sup> ისე ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის<sup>7</sup> მიერ.

საქართველოს სახალხო დამცველის განცხადებით, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის მიზნით იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გამართულმა პირველივე ფარულმა კენჭისყრამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს სისუსტეს და გამოავლინა, თუ რა გამოწვევებია ამ მიმართულებით. კერძოდ, 20 ივნისის ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრი, რომელთაგან თითოეულს ჰქონდა 1 ბიულეტენი და 20 ხმა (გამოცხადებული ვაკანსიის ოდენობის შესაბამისად). ბიულეტენებისა და მიცემული ხმების დათვლის პროცესზე დაკვირვებამ გამოავლინა 13-დან 10 ბიულეტენი, რომელიც შემოხაზული იყო ერთიანი სქემითა და დამთხვევების ძალიან მაღალი ხარისხით:

1. გამოვლინდა 4 ბიულეტენი, სადაც ჯამში 137 კანდიდატიდან ზუსტა 20 ერთი და იგივე კანდიდატი იყო შემოხაზული;
2. გამოვლინდა სხვა 3 ბიულეტენი, სადაც ჯამში 137 კანდიდატიდან შემოხაზული იყო სხვა ზუსტად 20 ერთი და იგივე კანდიდატი (და არა ისინი, ვინც პირველ პუნქტში ნახსენებ 4 ბიულეტენში იყო შემოხაზული);
3. გამოვლინდა 2 ბიულეტენი, სადაც შემოხაზული იყო მეორე პუნქტში მითითებულ 3 ბიულეტენში შემოხაზული 15 კანდიდატი და კიდევ სხვა 5 კანდიდატი;
4. გამოვლინდა სხვა 1 ბიულეტენი, სადაც შემოხაზული იყო პირველ პუნქტში მითითებულ 4 ბიულეტენში შემოხაზული 15 კანდიდატი და მესამე პუნქტში მითითებულ 2 ბიულეტენში შემოხაზული 5 კანდიდატი.<sup>8</sup>

მოცემული 10 ბიულეტენის ჯამში 5 ხმა მიიღო 30 კანდიდატმა, 4 ხმა - 5 კანდიდატმა, ხოლო 3 ხმა - 10 კანდიდატმა (სულ 45 კანდიდატი). ყველა მათგანი გადავიდა შერჩევის მომდენო ეტაპზე. დანარჩენ 3 ბიულეტენში ამ ხარისხის დამთხვევა არ გამოვლენილა და მათში შემოხაზული 5 კანდიდატი, რომლებსაც დარჩენილი 10 ბიულეტენიდან არც ერთი ხმარ არ მიუღია, ასევე გადავიდა შემდეგ ეტაპზე.<sup>9</sup>

ზემოაღნიშნულ 10 ბიულეტენს შორის ასეთი მაღალი ხარისხის დამთხვევა მინიმუმ ლეგიტიმურ კითხვებს აჩენს, რომ კენჭისყრის დროს ხომ არ ჰქონდა ადგილი წინასწარ შეთანხმებულ მანიპულაციას. *გასათვალისწინებელია ისიც, რომ შერჩევის ამ ეტაპზე გასაუბრების საფუძველზე კანდიდატების კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებით შეფასების მექანიზმი ჯერ არ იყო გამოყენებული.*

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის ეს წესი არა თუ არ გამოირცხავს, არამედ, პირიქით, სათანადო ნების შემთხვევაში, შესაძლებელს ხდის საარჩევნო პროცესით თვითნებურ მანიპულირებას, რაც, თავის მხრივ, წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველ პუნქტთან, რომლის თანახმად, საქართველოს ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება

<sup>6</sup> დასკვნა

<sup>7</sup> დასკვნა

<sup>8</sup> <http://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsveli-ekhmianeba-uzenaesi-sasamartlos-mosamartleebis-sherchevis-mimdinare-protsess> ;

<sup>9</sup> იქვე;

დაიკავოს ნებისმიერი საჯარო თანამდებობა თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

შერჩევის ზემოაღნიშნული პროცედურის შედეგად, შემდგომ ეტაპზე გადასულ კანდიდატთა სიის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან არაუადრეს 10 და არაუგვიანეს 20 სამუშაო დღისა იწყება შერჩევის *მესამე ეტაპი* - კანდიდატების მოსმენა, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ტარდება საჯაროდ.

ორგანული კანონის 34<sup>1</sup> მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, მოსმენაზე კანდიდატები წარდგებიან ინდივიდუალურად. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს უფლება აქვთ, შესაბამისი კითხვები დაუსვან თითოეულ კანდიდატს. მე-11 პუნქტით კი განსაზღვრულია, რომ კანდიდატების მოსმენის დასრულების შემდეგ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უახლოეს სხდომამდე საბჭოს წევრები სამოსამართლო გამოცდილების არმქონე *მოსამართლოების კანდიდატს აფასებენ ქულებით* ამავე კანონის 35<sup>1</sup> მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, ხოლო *სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატს* - ამ კანონის 36<sup>4</sup> მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები კანდიდატებს აფასებენ აგრეთვე ამ კანონის 35<sup>1</sup> მუხლის მე-15 პუნქტის შესაბამისად. კანდიდატების მიერ დაგროვებული ქულების რაოდენობა კი, ორგანული კანონის იგივე ნორმის თანახმად, ქვეყნდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35<sup>1</sup> მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, *კომპეტენტურობის კრიტერიუმით*, სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატი *ფასდება ქულებით*, იმავე მუხლით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, თითოეული მახასიათებლის მიხედვით მოსაპოვებელ ქულათა რაოდენობაა:

- ა) სამართლის ნორმების ცოდნა - 25 ქულა;
- ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 25 ქულა;
- გ) წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 20 ქულა;
- დ) პროფესიული თვისებები - 15 ქულა;
- ე) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 10 ქულა;
- ვ) პროფესიული აქტივობა - 5 ქულა.

რაც შეეხება სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატს, მისი შეფასება ხდება ორგანული კანონის 36<sup>4</sup> მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად. კერძოდ, *კომპეტენტურობის კრიტერიუმით* მოსამართლე ან სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი ასევე ფასდება *ქულების მეშვეობით*, ამავე კანონის 36<sup>3</sup> მუხლით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, თითოეული ამ მახასიათებლის მიხედვით მოსაპოვებელ ქულათა მაქსიმალური რაოდენობები შემდეგნაირად განისაზღვრება:

- 
- ა) სამართლის ნორმების ცოდნა - 20 ქულა;
  - ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 20 ქულა;
  - გ) წერის უნარი - 20 ქულა;
  - დ) ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 15 ქულა;
  - ე) პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში - 15 ქულა;
  - ვ) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 5 ქულა;
  - ზ) პროფესიული აქტივობა - 5 ქულა.

მხედველობაშია ასევე მისაღები ის, რომ როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე, ისე ამგვარი გამოცდილების არმქონე კანდიდატები, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35<sup>1</sup> მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე, ფასდებიან *კეთილსინდისიერების კრიტერიუმით*, რომლის დროსაც გაითვალისწინება ამ მუხლით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმების მახასიათებლები. ამ მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო აკეთებს ერთ-ერთ შემდეგ დასკვნას:

- ა) მოსამართლის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს;
- ბ) მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს;
- გ) მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. კანდიდატების მოსმენის დასრულების შემდეგ, უახლოეს სხდომაზე იგივე *ფარული წესით უყრის კენჭს* კანდიდატებს, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების გამოცხადებული ვაკანსიის რაოდენობამდე დაყვანის მიზნით. მიუხედავად გასაუბრების დროს მიღებული შეფასებისა და დაგროვებული ქულების რაოდენობისა, შემდგომ ეტაპზე გადადის კენჭის ყრის დროს მიღებულ ხმათა მეტი რაოდენობის მქონე იმდენი კანდიდატი, რამდენი ვაკანსიაცაა გამოცხადებული.

უნდა აღინიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35<sup>1</sup> მუხლის მე-17 პუნქტის თანახმად, რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატებს ვაკანტურ თანამდებობაზე გასამწესებლად, საბჭოს მიერ კენჭი ეყრებათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი აკმაყოფილებენ ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-12 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ, მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე გასამწესებლად კენჭი ეყრება მხოლოდ იმ მოსამართლეობის კანდიდატს, რომლის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი მიიჩნევს, რომ მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს ან სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას, ამ კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით, მოსამართლეობის კანდიდატის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამი ქულების მაქსიმალური რაოდენობის არანაკლებ 70 პროცენტია.

ამგვარად, რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა შერჩევის პროცესისაგან განსხვავებით, ეს წინაპირობა არ არის გათვალისწინებული უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის შემთხვევაში. შესაბამისად, არ არსებობს არანაირი სამართლებრივი მექანიზმი იმისა, რომელიც დაავალდებულებდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს, შესაბამისი არჩევანის გაკეთებისას, ეხელმძღვანელათ თუნდაც გასაუბრების შედეგებით, რომელიც შერჩევის მთელ ამ პროცესში, კანდიდატების შეფასების მეტ-ნაკლებად ყველაზე უფრო მეტად ობიექტური, სამართლიანი და გამჭვირვალე მექანიზმია.

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატები, ქვედა ინსტანციის მოსამართლეთა კანდიდატებისაგან განსხვავებით, ასევე არ სარგებლობენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, დაშვებული რომ იყოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა, იმ პირობებში, როდესაც საბჭოს არ ევალება თავისი გადაწყვეტილების დასაბუთება, გაუგებარია რაზე უნდა იმსჯელოს და რა უნდა შეაფასოს სასამართლომ.

ასევე, სხვადასხვა ტექნიკური პროცედურების გარდა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის შესარჩევი წესისგან განსხვავებით, რაიონული/სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეობის შესარჩევად განსაზღვრული კონკურსი ითვალისწინებს ისეთ ფუნდამენტურ დათქმებს, როგორცაა კონკურსი ობიექტურობისა და თანასწორობის პრინციპების სრული დაცვით უნდა ჩატარდეს. კონკურსის ჩატარებისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მოსამართლეობის კანდიდატთა თანასწორობა, განურჩევლად რასისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, საზოგადოებაში მათი მდგომარეობისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა და სხვა გარემოებებისა.

ეუთოს მიერ მომზადებულ დასკვნაში რეკომენდირებულია, რომ შერჩევის კრიტერიუმები უნდა იყოს მკაფიოდ გაწერილი, რომ იუსტიციის საბჭოს შეემლოს მათით ხელმძღვანელობა კანდიდატების შერჩევის/დასახელების თითოეულ ეტაპზე. ამიტომ „ცვლილებების პროექტი“ უნდა შეივსოს შესაბამისად და ამასთანავე დაკონკრეტდეს, რომ უნდა დასახელდნენ ის კანდიდატები, რომლებიც ყველაზე მეტად კვალიფიციური და კომპეტენტური არიან იმ განმცხადებლებს შორის, რომლებიც აკმაყოფილებენ წინასწარ განსაზღვრულ ვარგისიანობის მინიმალურ კრიტერიუმებს. ასევე, „აღვნიშნავთ, რომ ორგანული კანონის 35(7) მუხლი პირდაპირ აცხადებს, რომ რაიონული და სააპელაციო მოსამართლეობის შერჩევა „ობიექტურობისა და თანასწორობის პრინციპების სრული დაცვით უნდა ჩატარდეს“, ისეთი ნიშნებით დისკრიმინაციის გარეშე, როგორცაა „რასა, სქესი, რელიგია, პოლიტიკური და სხვა შეხედულებები, საზოგადოებაში მათი მდგომარეობა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილება და სხვა გარემოებები“. ამავე დროს უშუალოდ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის შერჩევასთან დაკავშირებული წესები, რომლებიც 34<sup>1</sup> მუხლშია მოცემული, არ უთითებს ამ პრინციპს.“<sup>10</sup>

*საქმეში საქართველოს მოქალაქეები მთვარისა კველიშვილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ* საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის მიხედვით,<sup>11</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის არსებობისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო აცხადებს კონკურსს. კონკურსი

<sup>10</sup> ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) 2019 წლის 17 აპრილის დასკვნა # JUD-GEO/346/2019 [AIC], პარ 41

<sup>11</sup> იხ. ამ საქმეზე პუნქტები 37- 52



ობიექტურობისა და თანასწორობის პრინციპების სრული დაცვით უნდა ჩატარდეს. კონკურსის ჩატარებისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მოსამართლეობის კანდიდატთა თანასწორობა, განურჩევლად რასისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, საზოგადოებაში მათი მდგომარეობისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა და სხვა გარემოებებისა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის 34<sup>1</sup> მუხლის მე-16 პუნქტი ითვალისწინებს ინტერესთა კონფლიქტის ერთ-ერთ კომპონენტს, რომელიც გულისხმობს, რომ თუ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრია, იგი არ სარგებლობს კანდიდატების შეფასებისა და ხმის მიცემის უფლებით პროცედურის არცერთ ეტაპზე. იგი ასევე არ არის უფლებამოსილი, კითხვით მიმართოს კანდიდატებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მათი მოსმენისას.

ვენეციის კომისიის დასკვნაში განსაკუთრებული ყურადღება იყო გამახვილებული მოსამართლეთა კანდიდატების ნომინირების პროცესში ინტერესთა შეუთავსებლობის ნაწილზე.<sup>12</sup> ვენეციის კომისიის მითითებით, ორგანულ კანონს უნდა გაეთვალისწინებინა იმგვარი შემთხვევები, რომელიც უზრუნველყოფდა ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებას.<sup>13</sup>

ვენეციის კომისიისა და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის დასკვნებისა და მოწოდებების მიუხედავად, კანონმდებელმა ინტერესთა კონფლიქტის მხრივ, ცვლილებებში მხოლოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის კონკურსში მონაწილეობის საკითხი დაარეგულირა. უნდა აღინიშნოს, რაიონული/სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეების კონკურსის შემთხვევაში ორგანული კანონი ინტერესთა შეუთავსებლობას გამორიცხავს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს ევალებათ დააყენონ თვითაცილების საკითხი ქვედა ინსტანციის სასამართლოებში მოსამართლეთა დანიშვნის პროცესში. კერძოდ, კანონის თანახმად, ისეთი გარემოების არსებობისას, რომელმაც შესაძლოა საბჭოს წევრის ობიექტურობა, დამოუკიდებლობა ან/და მიუკერძოებლობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს, საბჭოს წევრი ვალდებულია განაცხადოს აღნიშნულის შესახებ და მონაწილეობა არ მიიღოს გადაწყვეტილების მიღებაში.

როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის წესის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაში განაცხადა, „ამა თუ იმ სახელმწიფო თანამდებობაზე არდანიშვნის თაობაზე თვითნებური, მიკერძოებული და არაზუსტი გადაწყვეტილებების თავიდან აცილების ერთ-ერთი ინსტრუმენტია ამ გადაწყვეტილების დასაბუთებულობის მოთხოვნა. დასაბუთებულობის მოთხოვნა ავალდებულებს გადაწყვეტილების მიმღებ სუბიექტს, დაასაბუთოს, თუ რატომ შეესაბამება ან არ შეესაბამება კონკრეტულ *საკვალიფიკაციო კრიტერიუმს* ესა თუ ის კანდიდატი. დასაბუთებულობის მოთხოვნით, იზრდება თანამდებობაზე განწესებაზე უფლებამოსილი სუბიექტების ანგარიშვალდებულება და თავად პროცესის გამჭვირვალობა. ამავე დროს, დასაბუთებულობის მოთხოვნის გარეშე უკიდურესად გართულებულია თვითნებური და არაზუსტი გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობა. იმ პირობებში, როდესაც უფლებამოსილ სუბიექტს არ ევალება გადაწყვეტილების დასაბუთება, რთულია მიღებული გადაწყვეტილების კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის

<sup>12</sup> ვენეციის კომისიის 2019 წლის 16 აპრილის დასკვნა CDL-PI(2019)002, პარ. 49

<sup>13</sup> იქვე. პარ. 50-51

შემოწმება და შესაძლო დარღვევებისა და გადაცდომების გამოსწორება, არსებობს უფლებამოსილების თვითნებურად გამოყენების საფრთხე.<sup>14</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის წესის შეფასებისას, იგივე პრობლემებზე მიუთითებენ, როგორც ვენეციის კომისია ისე ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი.

ვენეციის კომისიის რეკომენდაციით გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად საჭიროა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო გახდეს ვალდებული დაასაბუთოს, რატომ არჩია რომელიმე კანდიდატი სხვას და ეს შეფასება ერთნაირი კრიტერიუმით უნდა მოხდეს.<sup>15</sup>

მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცესი უნდა ეფუძნებოდეს კანონში გაწერილ წინასწარ განსაზღვრულ ობიექტურ კრიტერიუმებს და ტარდებოდეს ღია და გამჭვირვალე პროცედურით. ნებისმიერი გადაწყვეტილება მოსამართლეთა დანიშვნის ან დაწინაურების თაობაზე უნდა იყოს დასაბუთებული, საამისო საფუძვლების განმარტებით და კანდიდატს, რომელიც არ იქნა შერჩეული, უნდა აძლევდეს შესაბამისი გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას. ასეთი საჩივარი უნდა ექვემდებარებოდეს განხილვას სასამართლოს მიერ და განხილვის ფარგლებში უნდა შედიოდეს როგორც მინიმუმ, პროცედურების გასაჩივრება.<sup>16</sup>

მხედველობაშია მისაღები ის, რომ სახალხო დამცველის დაკვირვებით, ვინაიდან პირველ ფარულ კენჭისყრაზე ბიულეტენების ერთმანეთის მსგავსი სქემით შემოხაზვა ფართო საზოგადოებრივი ყურადღების საგანი გახდა, მეორე ფარულ კენჭისყრაზე ამავე ხარისხის დამთხვევა აღარ გამოვლენილა, რაც მოსალოდნელიც იყო, თუმცა მაინც დარჩა გარკვეული წინასწარ შემუშავებული სტრატეგიებით მოქმედების შთაბეჭდილება ხმის მიცემისას. კერძოდ, სახალხო დამცველის აპარატმა ბიულეტენების ანალიზისას კვლავ შეძლო 10 ბიულეტენის გამორჩევა. საინტერესოა კენჭისყრის შედეგები სწორედ ამ 10 ბიულეტენის ჯამში.

**გამოიკვეთა, რომ 10 ბიულეტენის ჯამში, საერთოდ არ ფიქსირდება ხმათა ისეთი რაოდენობა, რომელიც დანარჩენი 2 ბიულეტენიდან დამთხვევის შემთხვევაში კანდიდატებს მომდევნო ეტაპზე გაიყვანდა. კერძოდ, 10 ბიულეტენის ჯამში, არც ერთ კანდიდატს არ მოუღია 6 ან 5 ხმა, მაშინ როდესაც გამსვლელი 7 ხმა იყო, ხოლო 4 ხმა მიიღო ერთადერთმა კანდიდატმა. 10 ბიულეტენის ჯამში შეიმჩნევა 3, 2 და 1 ხმის მიცემა ჯამში 18 კანდიდატისათვის, რომლებიც მომდევნო ეტაპზე ვერ გადავიდნენ. 10 ბიულეტენის ჯამში სულ შემოხაზული იყო 48-დან 38 კანდიდატი, საიდანაც 18 მომდევნო ეტაპზე საერთოდ ვერ გადავიდა. 10 ბიულეტენის ჯამში 20-ივე კანდიდატი გადავიდა მომდევნო ეტაპზე ისე, რომ სხვა ბიულეტენების დამთხვევა მათ არ ჭირდებოდათ.**

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ბოლო ეტაპზე გადასასვლელად ჩატარებული კენჭისყრის შედეგები წარმოშობს საკმაოდ სერიოზულ ეჭვს, როგორც უშუალოდ ამ კენჭის ყრის, ისე მთელი ამ პროცესის კონსტიტუციურ-სამართლებრივ მართლზომიერებასთან დაკავშირებით.

<sup>14</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის №3/2/717 გადაწყვეტილება, II. პ. 20;

<sup>15</sup> ვენეციის კომისიის 2019 წლის 16 აპრილის დასკვნა CDL-PI(2019)002, პარ. 26

<sup>16</sup> ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) 2019 წლის 17 აპრილის დასკვნა # JUD-GEO/346/2019 [AIC], პარ. 37

რაც შეეხება კანდიდატთა შერჩევის *მეოთხე ეტაპს*, ამ ეტაპზე, უკვე კენჭი ეყრება ზემოაღნიშნული წესით შერჩეულ კანდიდატებს ინდივიდუალურად, მათი საქართველოს პარლამენტისადმი წარდგენის მიზნით. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34<sup>1</sup> მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, კანდიდატი პარლამენტისადმი წარდგენილად ჩაითვლება, თუ მას საბჭოს ღია სხდომაზე, *ფარული კენჭისყრით* მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი.

### *საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის წესის სამართლებრივი ბუნება*

შემდეგ საკითხს, რომელიც, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია გავაანალიზოთ, წარმოადგენს 2019 წლის პირველი მაისის საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე ჩამოყალიბებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის წესის სამართლებრივი ბუნების განსაზღვრა.

როგორც უკვე ითქვა, საქართველოს კონსტიტუციის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით უვადოდ, ორგანული კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე, სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი. მართალია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს, კონსტიტუციის შესაბამისად, ირჩევს პარლამენტი, თუმცა, განსხვავებით საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების არჩევისგან, ამ შემთხვევაში მისი ეს კომპეტენცია შეზღუდულია უშუალოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ წარდგენილი კანდიდატებით.

ამ მხრივ, უნდა ითქვას, რომ, მაგალითად, ვენეციის კომისიის აზრით, საერთო სასამართლოების მოსამართლეთა არჩევის უფლებამოსილების გადაცემა პარლამენტისთვის არ არის მიზანშეწონილი, ამ პროცესის ზედმეტი პოლიტიზირების საფრთხის გამო,<sup>17</sup> განსხვავებით, თუნდაც, იგივე საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებისგან, რომლებიც მათი განსაკუთრებული ფუნქციების გათვალისწინებით (მათ შორის, პარლამენტის აქტების გაუქმება და ა. შ.), შესაძლოა უფრო მეტად საჭიროებდნენ გარკვეულ დემოკრატიულ ლეგიტიმაციას.<sup>18</sup>

მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცესის მიუკერძოებლად განხორციელება ასევე ემსახურება საჯარო ინტერესს, რომელიც პირდაპირ კავშირშია სასამართლოს, როგორც ინსტიტუციის დამოუკიდებლობასთან.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში *Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland* განაცხადა, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობა მოიცავს როგორც სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას, ისე ინდივიდუალური მოსამართლეების დამოუკიდებლობას, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს სასამართლო პროცესის სამართლიანობისთვის და ინსტიტუციური ურთიერთკონტროლისა და ურთიერთ-ბალანსის კონსტიტუციური პრინციპისთვის. ამასთან დაკავშირებით უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ თავიდან იქნას აცილებული მიკერძოებული პოლიტიკის

<sup>17</sup> JUDICIAL APPOINTMENTS, EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION), CDL-AD(2007)028 (Opinion No. 403 / 2006), Report adopted by the Venice Commission at its 70th Plenary Session (Venice, 16-17 March 2007), § 47;

<sup>18</sup> იხ. იქვე, § 7;

გავლენა უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნისას. აღნიშნულ საქმეში სასამართლო ხაზს უსვამს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ხელისუფლების დანაწილების პრინციპისთვის, რომ სამართლის უზენაესობით მართულ დემოკრატიულ საზოგადოებაში ნამდვილად შესრულდეს ის დანაწესი, რასაც სახელმწიფოს მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს.<sup>19</sup>

დამოუკიდებლობა ნიშნავს, რომ სასამართლო ხელისუფლებას, როგორც დაწესებულებას და ცალკეულ მოსამართლეებსაც უნდა შეეძლოთ მათი პროფესიული ფუნქციების შესრულება ისე, რომ მათზე გავლენა არ მოახდინოს აღმასრულებელმა ან საკანონმდებლო ხელისუფლებამ ანდა სხვა გარე ძალებმა. სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას არსებითი მნიშვნელობა აქვს ასევე ზოგადად მართლმსაჯულების სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის და რწმენის გაჩენისათვის, რომ ყველა თანასწორი ჩანდეს კანონის წინაშე, ყველას ექვეოდნენ თანასწორად და არავინ იყოს კანონზე მაღლა. საზოგადოების რწმენა, რომ სასამართლო დამოუკიდებელია ხელისუფლების პოლიტიკური განშტოებებისგან არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ისეთ საზოგადოებაში, რომელიც პატივს სცემს სამართლის უზენაესობას. თუ როგორ მოხდება სასამართლო თანამდებობებზე დასანიშნი პირების შერჩევა - მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ შენარჩუნდეს საზოგადოების რწმენა მართლმსაჯულების განხორციელებისადმი.<sup>20</sup>

მხედველობაშია მისაღები, რომ სახელმწიფო თანამდებობების თავისებურებების გათვალისწინებით, უფლების დაცვის სხვადასხვა მასშტაბების და სტანდარტების გამო, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია, ერთმანეთისაგან გაემიჯნა, ერთი მხრივ, თანამდებობები, რომელთა დაკავება სრულად პოლიტიკური პროცესის ნაწილს წარმოადგენს (მაგალითად, მთავრობის წევრების შერჩევა) და, მეორე მხრივ, **თანამდებობები, რომლებზეც შერჩევა მხოლოდ პროფესიულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით** ხდება და მათი არჩევისას უფლებამოსილი ორგანო არ ხელმძღვანელობს კონკრეტული პირის შერჩევის პოლიტიკური მიზანშეწონილობით. საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, საქართველოს კონსტიტუციის ძველი რედაქციის 29-ე (ახალი რედაქციის 25-ე) მუხლის არსის საწინააღმდეგო იქნებოდა, რიგ პოლიტიკურ თანამდებობებზე პოლიტიკური მიზანშეწონილობის გარეშე ამა თუ იმ პირის განწესების მოთხოვნა და პირიქით, ცალკეულ თანამდებობებზე პოლიტიკური მიზანშეწონილობით პირის განწესების დაშვება.<sup>21</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, „საქართველოს კონსტიტუციის ... თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს. რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე, ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით. უდავოა, რომ საქალაქო და სააპელაციო მოსამართლის თანამდებობა, თავისი არსით არ არის პოლიტიკური. მოსამართლეები იღებენ სამართლებრივ გადაწყვეტილებებს, კონსტიტუციისა და კანონის შესაბამისად ახორციელებენ მართლმსაჯულებას. **საქალაქო და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე განწესების პროცესი არც კანონმდებლობით და არც კონსტიტუციით არ არის დაკავშირებული პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებასთან. მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესების უზრუნველსაყოფად საქართველოს კონსტიტუციის ... საფუძველზე შექმნილია კონსტიტუციური ორგანო - საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭო, რომელმაც უნდა შეარჩიოს და თანამდებობაზე განაწესოს მოსამართლეობის ის კანდიდატი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება**

<sup>19</sup> 2019 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება საქმეში Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland, პარაგრაფი 122

<sup>20</sup> უთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) 2019 წლის 17 აპრილის დასკვნა # JUD-GEO/346/2019 [AIC], პარ. 19.

<sup>21</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის №3/2/717 გადაწყვეტილება, II. 3. 17;

*მოსამართლის თანამდებობრივ სტატუსს.*<sup>22</sup> ამრიგად, რაიონული და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა განწესების პროცესის ნეგატიური პოლიტიკური ზეგავლენისაგან დაცვას და კანდიდატების მხოლოდ პროფესიულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით შერჩევას, საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, უზრუნველყოფს სწორედ იუსტიციის უმაღლესი საბჭო. სასამართლოს განმარტებით, სწორედ ის არის გარანტი იმისა, რომ ამ პროცესის შედეგად მოსამართლის თანამდებობრივ სტატუსთან ყველაზე უფრო მეტად შესაბამისი კანდიდატი შეირჩევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ასევე განვსაზღვროთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს და მისი მოსამართლეების კონსტიტუციურ-სამართლებრივი ბუნებაც. საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები, რომელთა სისტემა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით. შესაბამისად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში მოიაზრებს, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, სააპელაციო სასამართლოს და საქართველოს უზენაეს სასამართლოს. იგივე მუხლის მე-2 პუნქტით კი, განსაზღვრულია, რომ საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემა არის ერთიანი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სწორედ მართლმსაჯულების განმახორციელებელი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციამ პარლამენტის მიერ უზენაესი სასამართლოს წევრების განწესების კომპეტენცია, შეზღუდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ წარდგენილი კანდიდატებით. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის, რომ საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სწორედ საერთო სასამართლოების (რომელშიც, ასევე მოიაზრება უზენაესი სასამართლოც) *დამოუკიდებლობისა* და ეფექტიანობის უზრუნველყოფის, *მოსამართლეთა დანიშვნისა* და *გათავისუფლების* და სხვა ამოცანების შესრულების მიზნით იქმნება საერთო სასამართლოების სისტემის ორგანო - *საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო*, რომლის წევრთა ნახევარზე მეტს, კონსტიტუციის იგივე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შეადგენენ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ მოსამართლეთაგან არჩეული წევრები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო ანგარიშვალდებულია მხოლოდ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს წინაშე.

ამრიგად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატების შერჩევისა და პარლამენტის წინაშე წარდგენის პროცესის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ წარმართვის ძირითად მიზანს წარმოადგენს, სწორედ, ამ უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტის ფორმირებაში პარლამენტის პოლიტიკური ზეგავლენის დაბალანსება და უზენაესი სასამართლოს მოსამართლის მაღალ სტატუსთან, როგორც კეთილსინდისიერების, ისე კვალიფიციურობის თვალსაზრისით, შესაბამისი კანდიდატის შერჩევა. ამიტომ, ძალზედ მნიშვნელოვანია თუ რამდენად სამართლიანად, გამჭვირვალედ და დასაბუთებულად ახორციელებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცესს.

ამ პროცესმა უნდა გამოავლინოს სწორედ ისეთი კანდიდატები, რომლებიც მაქსიმალურად შეესაბამებიან როგორც კეთილსინდისიერების, ისე კომპეტენტურობის იმ მახასიათებლებს, რომლებიც მოცემულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35<sup>1</sup> მუხლის მე-3 და მე-4

<sup>22</sup> იხ. იქვე, პ. 18;

პუნქტებში. კერძოდ კი, კეთილსინდისიერების მახასიათებლებს, როგორებიცაა - ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა; დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია; და კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებს, როგორებიცაა - ა) სამართლის ნორმების ცოდნა; ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; გ) წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი; დ) პროფესიული თვისებები; ე) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; ვ) პროფესიული აქტივობა.

როგორც უკვე აღნიშნა, თავდაპირველად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 2019 წლის პირველ მაისამდე არსებული რედაქციის 34-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილი იყო, მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების გარეშე უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად **საქართველოს პარლამენტისთვის წარედგინა კანდიდატურა**, რომლის პროფესიული გამოცდილება, საბჭოს წევრთა 2/3 აზრით, შეეფერებოდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის მაღალ სტატუსს. იგივე პროცედურა იყო გათვალისწინებული უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურის წარსადგენად. ამდენად, ძველი რეგულაციებით გათვალისწინებული არ იყო კანდიდატთა შერჩევის პროცედურა და იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ხმათა ორი-მესამედით, კანდიდატთა ყოველგვარი წინასწარი შერჩევის გარეშე და მხოლოდ საკუთარი შეხედულებით იღებდა გადაწყვეტილებას თუ ვის კანდიდატურას წარადგენდა საქართველოს პარლამენტში.

იმ უმნიშვნელოვანესი ფუნქციიდან გამომდინარე, რომელსაც საქართველოს უზენაესი სასამართლო ასრულებს, 2019 წლის პირველი მაისის საკანონმდებლო ცვლილების ავტორებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, საკანონმდებლო დონეზე, უკვე დეტალურად ყოფილიყო გაწერილი იმგვარი პროცედურული ღონისძიებები, რომლებიც, მათი აზრით, უზრუნველყოფდნენ მართლმსაჯულების განმახორციელებელი უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს შესაფერისი მოსამართლეებით დაკომპლექტებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონპროექტის ავტორთა დასკვნით, აუცილებელი იყო უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შერჩევის პროცესი, **მოსამართლეთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები** და საბჭოს მიერ შერჩეული კანდიდატების საქართველოს პარლამენტისთვის ასარჩევად წარდგენის პროცედურები, საკანონმდებლო დონეზე, იმგვარად ყოფილიყო განსაზღვრული, რომ, ერთი მხრივ, **შესაფერის კანდიდატს მისცემოდა პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა და, მეორე მხრივ, საზოგადოებას ნდობა გასჩენოდა აღნიშნული პროცესის მიმართ.**

ამისთვის, კანონმდებელმა გაითვალისწინა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის იმგვარი წესი, რომელიც, გარკვეულწილად, დაეფუძნებოდა რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა შერჩევის პროცედურის მომწესრიგებელ წესებს, იმ განსხვავებით, რომ მას ეწოდა კანდიდატების შერჩევის არა „კონკურსი“, არამედ, უბრალოდ შერჩევის წესი. მიუხედავად ამისა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34<sup>1</sup> მუხლის მე-11 პუნქტმა გაითვალისწინა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების მოსმენის დასრულების შემდეგ, საბჭოს წევრების მიერ კანდიდატების შეფასება კეთილსინდისიერებისა და კვალიფიციურობის კანონით დადგენილი კრიტერიუმებით, რაც, უფრო მეტად, კონკურსის ფორმით განხორციელებული შერჩევის პროცედურისთვისაა დამახასიათებელი.

ის, რომ შერჩევის პროცესს უნდა ჰქონდეს კონკურსის სახე, ეს გამომდინარეობს შესაბამისი ნორმების ანალიზიდანაც, რის საფუძველზეც განუსაზღვრელი რაოდენობის კანდიდატებს ეძლევა შერჩევის

პროცესში მონაწილეობის მიღების უფლება, რაც გულისხმობს, მოგვიანებით, *მათი, გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით შეფასებისა და გადარჩევის შესაძლებლობას.*

ასე, მაგალითად, თუ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის არსებობისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო აცხადებს „კონკურსს“, იგივე კანონის 34<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამგვარი ვაკანსიის უზენაეს სასამართლოში წარმოშობის შემთხვევაში, იუსტიციის უმაღლესი საბჭო უკვე „...იწყებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურას.“ გარდა ამისა, იგივე ნორმის მე-2 წინადადებაში აღნიშნულია, რომ „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო შერჩევის პროცედურის დაწყებას აცხადებს საქართველოს ოფიციალური ბეჭდითი ორგანოს და თავისი ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით და შესაბამის ინფორმაციას აწვდის საზოგადოებრივ მაუწყებელს და არანაკლებ 2 ეროვნულ მაუწყებელს,“ რის *ერთადერთ მიზანსაც სწორედ კვალიფიციური კადრების შესაბამისი ვაკანსიით დაინტერესება შეიძლება წარმოადგენდეს.*

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს, რომ „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ადგენს პირის მიერ შერჩევის პროცედურაში მონაწილეობისათვის წარსადგენი განცხადების ფორმას და თანდართული დოკუმენტების ნუსხას...“. მე-3 პუნქტში კი აღნიშნულია, რომ „...უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ვაკანსიაზე განცხადებები მიიღება შერჩევის პროცედურის დაწყებიდან 3 კვირის განმავლობაში...“.

განსაკუთრებით საყურადღებოა 34<sup>1</sup> მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შინაარსი. კერძოდ, მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო განცხადებების მიღების ვადის ამოწურვიდან 5 სამუშაო დღის ვადაში განიხილავს შერჩევის პროცედურაში მონაწილე პირთა განცხადებებსა და თანდართულ დოკუმენტებს, რის შემდეგაც, იღებს გადაწყვეტილებას პირის კანდიდატად რეგისტრაციის შესახებ, თუ იგი აკმაყოფილებს მოსამართლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. მე-5 პუნქტით კი, გათვალისწინებულია მე-4 პუნქტით განხორციელებული პროცედურის გასაჩივრების მექანიზმი, როდესაც განმცხადებელს უარი ეთქვა კანდიდატად რეგისტრაციაზე.

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ 34<sup>1</sup> მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევისას, *ხელმძღვანელობენ* იმავე კანონის 35<sup>1</sup> მუხლის პირველი და მე-3-მე-14 პუნქტებით განსაზღვრული *კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის* კრიტერიუმებით.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის მთელი ეს პროცედურა, საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის, ხორციელდება კანდიდატთა ერთგვარი კონკურსის სახით ჩატარებული გადარჩევის ფორმით, რომლის მიზანიც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისათვის საუკეთესო კანდიდატების გამოვლენაა, მათი, კანონმდებლობით დადგენილი კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებით შეფასების მეშვეობით. შესაბამისად, როდესაც მოქალაქე აკეთებს განაცხადს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ვაკანსიაზე გამოცხადებულ შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის

თაობაზე, იგი იწყებს საჯარო თანამდებობის დაკავების კონსტიტუციური უფლების რეალიზაციას, რომელიც, თავის მხრივ, დაცულია საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტით.

ამ მხრივ, მხედველობაშია ასევე მისაღები ის, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, „მოსამართლის თანამდებობა კონსტიტუციის მიზნებისთვის განხილული უნდა იქნეს იმ სახელმწიფო თანამდებობად, რომლის დაკავებისა და საქმიანობის განხორციელების კანონით განსაზღვრული პირობები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციის (თავდაპირველი რედაქციის) 29-ე მუხლს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის N3/1/659 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-15). შესაბამისად, **მოსამართლის თანამდებობის დაკავების მარეგულირებელ კანონმდებლობაზე** ვრცელდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლით დაცულ უფლებასთან დაკავშირებით დადგენილი სტანდარტები (მოსამართლის სახელმწიფო თანამდებობის კონსტიტუციური სტატუსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით).“<sup>23</sup>

### **გასაჩივრებული ნორმები**

კონსტიტუციური სარჩელის ამ ნაწილში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ზუსტად განვსაზღვროთ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ის ნორმები, რომლებიც, ჩვენი აზრით, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველ პუნქტს და 31-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებას. ამ მხრივ, გასათვალისწინებელია თვითონ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის წესის მომწესრიგებელი ნორმების შინაარსი.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34<sup>1</sup> მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, კანდიდატად პირის რეგისტრაციის პროცედურის და მისი შედეგების გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ატარებს **ფარულ კენჭისყრას კანდიდატის შემდგომ ეტაპზე გადაყვანის თაობაზე**. კერძოდ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე საბჭოს თითოეული წევრი ბიულეტენში ფარულად შემოხაზავს იმ რაოდენობის კანდიდატს, რამდენი ვაკანსიაცაა გამოცხადებული. აღნიშნული ბიულეტენები დალუქულ ყუთში იყრება, ხოლო კენჭისყრის პროცედურის დასრულებისთანავე ყუთი იხსნება საბჭოს წევრების თანდასწრებით, რომლებიც ითვლიან ხმებს. კენჭისყრის დასრულებისას დგება შესაბამისი ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მდივანი. თუ შერჩევის პროცედურის დაწყება გამოცხადებულია უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 1 ან 2 ვაკანსიისთვის, ჩატარებული კენჭისყრის საფუძველზე, **შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადადის გამოცხადებულ ვაკანსიაზე 3-ჯერ მეტი, კენჭისყრის დროს მიღებულ ხმათა რაოდენობის თვალსაზრისით, საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი**. თუ შერჩევის პროცედურის დაწყება გამოცხადებულია უზენაესი სასამართლოს მოსამართლის არანაკლებ 3 ვაკანსიისთვის, ჩატარებული კენჭისყრის საფუძველზე, **შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადადის გამოცხადებულ ვაკანსიაზე 2,5-ჯერ მეტი, კენჭისყრის დროს მიღებულ ხმათა რაოდენობის თვალსაზრისით, საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი**.

მხედველობაშია მისაღები ის, რომ კანდიდატის შემდეგ ეტაპზე გადასვლის თაობაზე გამართული კენჭისყრის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმი კანონმდებლობით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ამ გადაწყვეტილების საბოლოო

<sup>23</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის №3/2/717 გადაწყვეტილება, II. პ. 8;



ხასიათს, კანდიდატთა რეგისტრაციის პროცედურისგან განსხვავებით, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34<sup>1</sup> მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ექვემდებარება გასაჩივრებას უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ დავუშვებთ, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შემდგომ ეტაპზე გადასვლის გადაწყვეტილება, მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე, სამართლის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, შეიძლება დაექვემდებაროს გასაჩივრებას, გაუგებარია რაზე უნდა იმსჯელოს და რა უნდა შეაფასოს შესაბამისმა სასამართლომ. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა პირდაპირ მიუთითებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევისას, მათი ორგანული კანონის 35<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებით შეფასების თაობაზე, შესაბამისი გადაწყვეტილების კენჭისყრით მიღებისას, კანონმდებლობით დადგენილ კრიტერიუმებთან კანდიდატის შესაბამისობის დასაბუთების და გადაწყვეტილების მხოლოდ ამ შეფასების შედეგად მიღების პირდაპირი ვალდებულების არარსებობა, ფაქტობრივად გამორიცხავს სასამართლოს მიერ პროცესის სამართლებრივი შეფასების შესაძლებლობას.

საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების დასაბუთება აუცილებელია საბჭოს წევრების მიერ უკანონო, თვითნებური ან/და მიკერძოებული გადაწყვეტილების მიღების პრევენციისათვის. პირის პროფესიული დანიშვნისას, როდესაც გადაწყვეტილება თანამდებობაზე განწესების შესახებ არ წარმოადგენს პოლიტიკური პროცესის შემადგენლ ნაწილს, გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულების არარსებობა ქმნის უფლებამოსილების არაჯეროვნად განხორციელების საფრთხეს, მოსამართლეობის კანდიდატს ართმევს სამართლიანი სასამართლოს უფლებით ეფექტიანად სარგებლობის შესაძლებლობას, ართულებს და ცალკეულ შემთხვევებში შეუძლებელს ხდის მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებას სასამართლოს მიერ.“<sup>24</sup>

იგივე შეიძლება ითქვას, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34<sup>1</sup> მუხლის მე-12 და მე-13 პუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებაზე. კერძოდ, მე-12 პუნქტის თანხმად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურის მე-2 ეტაპზე, კანდიდატების მოსმენის დასრულების შემდეგ, საბჭოს უხლოეს სხდომაზე, ამავე მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი წესით, იმართება ფარული კენჭისყრა კანდიდატების რაოდენობის გამოცხადებული ვაკანსიის რაოდენობამდე დაყვანის მიზნით. იგივე 34<sup>1</sup> მუხლის მე-12 პუნქტით, კანდიდატთა მიერ თანაბარი რაოდენობის ხმების მიღების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება იმ კანდიდატს, რომელსაც სპეციალობით მუშაობის უფრო ხანგრძლივი გამოცდილება აქვს. რის შემდეგაც ხდება შემდეგ ეტაპზე გადასულ კანდიდატთა სიის გამოქვეყნება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.

ამრიგად, კანდიდატთა შერჩევის არც ამ ეტაპზე ხდება საბჭოს გადაწყვეტილების დასაბუთება, ისევე, როგორც არ არის გათვალისწინებული გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმი. მართალია, ჩატარებული გასაუბრების მიზანს უნდა წარმოადგენდეს სწორედ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის საკანონმდებლო მოთხოვნებთან კანდიდატთა შესაბამისობის - მათ შორის, ქულათა

<sup>24</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის №3/2/717 გადაწყვეტილება, II. პ. 21;

რანჟირების - წესით შემოწმება, ორგანული კანონი, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას, არ ადგენს შემოწმების შედეგების გათვალისწინების და მხოლოდ ამ შედეგების საფუძველზე გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულებას. ეს საკმაოდ კარგად ჩანს მე-12 პუნქტის მე-2 წინადადებაშიც, კერძოდ, როდესაც ხდება კანდიდატების მიერ ხმათა თანაბარი რაოდენობის მიღება, გადამწყვეტია არა გასაუბრების დროს მიღებული ქულათა რაოდენობა, არამედ კანდიდატის სპეციალობით მუშაობის ხანგრძლივობა.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34<sup>1</sup> მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებისას, იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის ვალდებული საკუთარი გადაწყვეტილება დაასაბუთოს და, ამასთან ერთად, მისი ეს გადაწყვეტილება არ ექვემდებარება სასამართლოში გასაჩივრებას.

იგივე შეიძლება ითქვას, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34<sup>1</sup> მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებაზე. ამ პუნქტის შესაბამისად, ზემოაღნიშნული წესით კანდიდატთა შერჩევის შემდეგ, კენჭი სათითაოდ ეყრება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენას. ***კანდიდატი წარდგენილად ჩაითვლება, თუ მას საბჭოს დია სხდომაზე, ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი.***

მხედველობაშია მისაღები, რომ ორგანული კანონის 34<sup>1</sup> მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს უფლება აქვს, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად წარდგენილი პირის თაობაზე განსხვავებული აზრი წერილობით წარუდგინოს საქართველოს პარლამენტს. აღნიშნული განსხვავებული აზრი გადაეცემა პარლამენტის თითოეულ წევრს. პარლამენტის წევრებს გადაეცემა აგრეთვე ინფორმაცია ამ მუხლის მე-11 პუნქტის საფუძველზე კანდიდატისთვის გასაუბრების დროს მინიჭებული ქულის შესახებ. მუხედავად ამისა, საქართველოს პარლამენტი ასევე არ არის ვალდებული გაითვალისწინოს გასაუბრების შედეგად მიღებული ქულები.

ზემოაღნიშნულის თვალსაზრისით, გვსურს ყურადღება გავამახვილოთ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2016 წლის 1 ივნისის № 3/2/717 საოქმო ჩანაწერზე, რომელიც, გასაჩივრებული ნორმების შინაარსის თვალსაზრისით, გარკვეულწილად, მსგავს საკითხებს შეეხება. კერძოდ, 2016 წლის პირველი ივნისის საოქმო ჩანაწერით, საკონსტიტუციო სასამართლოში არსებითად განსახილველად იქნა მიღებული კონსტიტუციური სარჩელი, რომლითაც გასაჩივრებული იყო „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის სიტყვების „თანამდებობაზე ნიშნავს“ და 50-ე მუხლის მე-4 პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის თავდაპირველი რედაქციის 29-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან და 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით, რომლებსაც შეესაბამება, კონსტიტუციის ახალი რედაქციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტი და 31-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის კომპეტენცია. 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ასევე მიუთითებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს იგივე კომპეტენციაზე, ხოლო, 50-

---

ე მუხლის მე-4 პუნქტი კი, ადგენს ზემოაღნიშნულ მოსამართლეთა თანამდებობაზე განსაწესებლად საჭირო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა ხმების რაოდენობას.

როგორც 2016 წლის პირველი ივნისის საოქმო ჩანაწერით არსებითად განსახილველად მიღებულ კონსტიტუციურ სარჩელში იყო მითითებული, მოსარჩელებს სხვადასხვა დროს ეკავათ მოსამართლის თანამდებობა და ირიცხებოდნენ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლეთა რეზერვში. მათ მონაწილეობა მიიღეს მოსამართლეთა შესარჩევ არაერთ კონკურსში, თუმცა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ არ იქნენ დანიშნულნი მოსამართლის თანამდებობაზე.

მოსარჩელეთა განმარტებით, ისინი სრულად აკმაყოფილებდნენ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34-ე მუხლით განსაზღვრული მოსამართლის თანამდებობის დაკავების წინაპირობებს, თუმცა, მათ ვერ შეძლეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების ხმათა საკმარისი რაოდენობის მიღება მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად. ამასთან, მოსარჩელე მხარის განცხადებით, მაშინ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საბჭომ არ დაასაბუთა, თუ რატომ ვერ გაიმარჯვეს მოსარჩელებმა კონკურსში და ვინაიდან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება, იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არ საჩივრდებოდა, მოსარჩელებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, სასამართლო წესით დაეცვათ თავიანთი ინტერესები და აღედგინათ დარღვეული უფლება.

კონსტიტუციურ სარჩელში ასევე აღნიშნული იყო, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის არც ერთი ნორმა და, მათ შორის, არც სადავო ნორმები სიტყვასიტყვით არ გამორიცხავდნენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეების არ დანიშვნაზე მიღებული გადაწყვეტილების სასამართლო კონტროლს, მაგრამ მაშინ არსებული საკანონმდებლო რეგულირების პირობებში, მოსარჩელეთა აზრით, სამართლებრივ ლოგიკას იყო მოკლებული მსჯელობა, რომ მათ მხოლოდ კონსტიტუციაზე, როგორც უშუალოდ მოქმედ სამართალზე დაყრდნობით შეეძლოთ სასამართლო წესით დაეცვათ თავიანთი უფლებები, ვინაიდან გაურკვეველი იყო თუ რომელი სასამართლოსთვის უნდა მიემართათ და რა პროცედურებით უნდა ეხელმძღვანელა საქმის განმხილველ სასამართლოს.

კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, მაშინ მოქმედი კანონმდებლობის ერთობლიობაში წაკითხვის შემთხვევაში, სადავო ნორმები იმენდნენ შემზღვეველ ხასიათს და გამორიცხავდნენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას, ამიტომ, მოსარჩელები *სადავოდ ხდიდნენ მთლიანად ინსტიტუტის - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი (მოსამართლეთა დანიშვნის) უფლებამოსილების კონსტიტუციურობას, სწორედ სასამართლო კონტროლისა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების ვალდებულების არარსებობის გამო.*

მოსარჩელები განმარტავდნენ, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-4 პუნქტის შინაარსი, რომლის თანახმადაც, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო პირს მოსამართლედ დანიშნავს თუ მის კანდიდატურას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა, თავისთავად გამორიცხავდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულებას, რაც აზრს უკარგავდა საბჭოს გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებას. სარჩელის ავტორთა აზრით, სამართლიანი სასამართლოს უფლება ილუზორული გახდება, თუ პირს მხოლოდ ფორმალურად შეეძლება მიმართოს სასამართლოს და სასამართლო ვერ შეძლებს შეაფასოს უფლების შეზღუდვის მართლობიერება,

---

ვინაიდან კანონმდებლობით გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს არ მოეთხოვება მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება.<sup>25</sup>

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ მოსარჩელებმა სწორედ ფარული კენჭისყრის საფუძველზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების კომპეტენციაში ამოიკითხეს როგორც შესაბამისი გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულების, ისე მისი გასაჩივრების შესაძლებლობის არარსებობა, რაც, თავის მხრივ, გახდა კიდევაც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არსებითი განხილვის მთავარი ობიექტი. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, ხაზი გვინდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა სადავო ნორმებსა და კონსტიტუციის შესაბამის მუხლებს შორის დაინახა ის მიმართება, რომელიც გაამართლებდა შესაბამისი საქმის არსებით განხილვას.

№ 717 კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების ვალდებულების არარსებობა ასევე იწვევდა მთლიანად ინსტიტუტის - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი უფლებამოსილების არაკონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის თავდაპირველი რედაქციის 29-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით, რაც, თავის მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ასევე იქნა არსებითად განხილული და შეფასებული.

მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილ კონსტიტუციურ სარჩელში დასმული საკითხებიც ანალოგიურია. მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ შემთხვევაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება არ უკავშირდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა თანამდებობაზე განწესებას, შეიძლება ითქვას, რომ შერჩევის ის პროცედურა, რომელსაც ახორციელებს იუსტიციის საბჭო, წარმოადგენს შესაბამის კანდიდატთა თანამდებობაზე განწესების პროცესის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რგოლს, რომლის კონსტიტუციური თვალსაზრისით მართლზომიერად განხორციელება პირდაპირ აისახება საქართველოს მოქალაქის კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლების რეალიზაციაზე. აქვე, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოებაც, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცესის მიმდინარეობის თითოეულ ეტაპზე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, თავისი შინაარსით, საბოლოოა, რაც გამორიცხავს ამ პროცესის დროს დარღვეული კონსტიტუციური უფლების, თუნდაც, მოგვიანებით აღდგენის შესაძლებლობას.

შესაბამისად, წარმოდგენილი კონსტიტუციური სარჩელით გვსურს გავასაჩივროთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს იმ **უფლებამოსილების განხორციელების წესის** კონსტიტუციურობა, რომელიც საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევას ითვალისწინებს **ფარული კენჭისყრით, დასაბუთების ყოველგვარი ვალდებულებისა და საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების გარეშე.**

ამდენად, საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველ პუნქტთან და 31-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებასთან მიმართებით, არაკონსტიტუციურად მიგვაჩნია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34<sup>1</sup> მუხლის მე-7 პუნქტის პირველი, მე-2, მე-

<sup>25</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 1 ივნისის აპრილის №3/2/717 საოქმო ჩანაწერი, I. პ.პ. 5-9;

8, მე-9 და მე-10 წინადადებების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ანიჭებს უფლებამოსილებას არ დაასაბუთოს შესაბამისი კანდიდატის მომდევნო ეტაპზე გადაყვანის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება და, რომელიც გამორიცხავს ამავე უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას. კერძოდ, კონსტიტუციურობის თვალსაზრისით პრობლემურად მიგვაჩნია, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34<sup>1</sup> მუხლის მე-7 პუნქტის პირველი წინადადების სიტყვების - „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო... თავის მიერ განსაზღვრული პროცედურით ატარებს ფარულ კენჭისყრას კანდიდატის შემდგომ ეტაპზე გადაყვანის თაობაზე“, ასევე, იგივე მუხლის მე-2, მე-8, მე-9 წინადადებების შესაბამისი ნორმატიული შინაარსი და მე-10 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც კანდიდატს გამორჩევს მხოლოდ სპეციალობით მუშაობის უფრო ხანგრძლივი გამოცდილების საფუძველზე, ყოველგვარი დასაბუთებისა და გასაჩივრების უფლების გარეშე.

აგრეთვე, ზემოაღნიშნულ კონსტიტუციურ ნორმებთან მიმართებით, არაკონსტიტუციურად მიგვაჩნია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34<sup>1</sup> მუხლის მე-12 პუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც საბჭოს არ ავალდებულებს ფარულ კენჭისყრაზე მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებას და რომელიც გამორიცხავს ამავე გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას.

სადავოდ მიგვაჩნია, ასევე, ორგანული კანონის 34<sup>1</sup> მუხლის მე-13 პუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს არ ავალდებულებს დაასაბუთონ მათი გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის შესაბამისი კანდიდატის წარდგენის თაობაზე. ისევე, როგორც ის, რომ ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება სასამართლო კონტროლს.

## **დასაბუთება**

### *1. სადავო ნორმების შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველ და 31-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებებთან*

როგორც უკვე ითქვა, სახელმწიფოს თანამდებობების თავისებურებების გათვალისწინებით უფლების დაცვის სხვადასხვა მასშტაბებისა და სტანდარტების გამო, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია ერთმანეთისაგან გაემიჯნა, ერთი მხრივ, თანამდებობები, რომელთა დაკავება სრულად პოლიტიკური პროცესის ნაწილს წარმოადგენს (მაგალითად, მთავრობის წევრების შერჩევა) და, მეორე მხრივ, თანამდებობები, რომლებზეც შერჩევა **მხოლოდ პროფესიულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით ხდება** და **მათი არჩევისას უფლებამოსილი ორგანო არ ხელმძღვანელობს კონკრეტული პირის შერჩევის პოლიტიკური მიზანშეწონილობით**. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის 29-ე (ახალი რედაქციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტი) მუხლის არსის საწინააღმდეგო იქნებოდა, რიგ პოლიტიკურ თანამდებობებზე პოლიტიკური მიზანშეწონილობის გარეშე ამა თუ იმ პირის განწესების მოთხოვნა და პირიქით, ცალკეულ თანამდებობებზე პოლიტიკური მიზანშეწონილობით პირის განწესების დაშვება.<sup>26</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე, ან ჩარევა მის

<sup>26</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის №3/2/717 გადაწყვეტილება, II. პ. 17;

საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით. საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, უდავოა, რომ საქალაქო და სააპელაციო მოსამართლის თანამდებობა, თავისი არსით არ არის პოლიტიკური, ვინაიდან, მოსამართლეები იღებენ სამართლებრივ გადაწყვეტილებებს, კონსტიტუციისა და კანონის შესაბამისად ახორციელებენ მართლმსაჯულებას. საკონსტიტუციო სასამართლოს თანახმად, საქალაქო და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე განწესების პროცესი არც კანონმდებლობით და არც კონსტიტუციით არ არის დაკავშირებული პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებასთან. მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესების უზრუნველსაყოფად საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე იქმნება კონსტიტუციური ორგანო - *საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭო, რომელმაც უნდა შეარჩიოს და თანამდებობაზე განამწესოს მოსამართლეობის ის კანდიდატი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება მოსამართლის თანამდებობის სტატუსს.*<sup>27</sup> ამრიგად, რაიონული და სააპელაციო სასამართლოების *მოსამართლეთა განწესების პროცესის პოლიტიკური ზეგავლენისაგან დაცვას* და კანდიდატების *მხოლოდ პროფესიულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით შერჩევას*, საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, სწორედ *იუსტიციის უმაღლესი საბჭო* უზრუნველყოფს. სასამართლოს განმარტებით, სწორედ ის არის გარანტი იმისა, რომ ამ პროცესის შედეგად მოსამართლის თანამდებობრივ სტატუსთან ყველაზე უფრო მეტად შესაბამისი კანდიდატი შეირჩევა.

მართალია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განმარტება შეეხება რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებს, მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, იგი აქტუალობას არ კარგავს არც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პროცესთან მიმართებით. უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში მისაღები ის, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განმარტება მოსამართლის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტიების შესახებ ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველ პუნქტს, რომლის უპირველეს ადრესატს სწორედ უზენაესი სასამართლოს, როგორც საერთო სასამართლოების ზედა რგოლის მოსამართლე უნდა წარმოადგენდეს.

გარდა ამისა, როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს კონსტიტუციის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უზენაესი სასამართლოს შემადგენლობაში შედის არანაკლებ 28 მოსამართლე, რომელთაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით, უვადოდ, სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი. ამრიგად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა არჩევა ხდება ერთგვარი შერეული ფორმით, რომელშიც საბოლოო გადაწყვეტილებას პოლიტიკური ორგანო - საქართველოს პარლამენტი იღებს. თუმცა, პარლამენტის ეს უფლებამოსილება შეზღუდულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შერჩეული მოსამართლეობის კანდიდატებით. ამგვარად, საქართველოს კონსტიტუციის ნებაა, რომ უზენაესი სასამართლოს *მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცესი* იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მთლიანად პროფესიულ კრიტერიუმებზე იყოს დაფუძნებული და მხოლოდ ამ და არა სხვა ფორმით შერჩეულ კანდიდატებს მიანიჭოს პარლამენტმა დემოკრატიული ლეგიტიმაცია. მიგვაჩნია, რომ უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტების პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ჩართვის მიზანი, სწორედ ამ პროცედურის ნეგატიური პოლიტიზირებისგან დაცვაში მდგომარეობს.

რაც შეეხება თვითონ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევას, შეიძლება ითქვას, რომ იგი მთლიანად უნდა განხორციელდეს პროფესიულ კრიტერიუმებზე

<sup>27</sup> იხ. იქვე, პ. 18;

დაყრდნობით. კერძოდ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34<sup>1</sup> მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევასა *ხელმძღვანელობენ* ამ კანონის 35<sup>1</sup> მუხლის პირველი და მე-3-მე-14 პუნქტებით განსაზღვრული - *კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის* კრიტერიუმებით.

გარდა ამისა, იგივე 34<sup>1</sup> მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, კანდიდატებთან გასაუბრებისა და მათი მოსმენის შემდეგ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატს აფასებენ ქულებით ამ კანონის 35<sup>1</sup> მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატს - ამ კანონის 36<sup>4</sup> მუხლის მე-8 პუნქტის (კომპეტენტურობის კრიტერიუმების) შესაბამისად. ამასთან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები კანდიდატებს ასევე აფასებენ ორგანული კანონის 35<sup>1</sup> მუხლის მე-15 პუნქტის (კეთილსინდისიერების კრიტერიუმის) შესაბამისად. კანდიდატების მიერ დაგროვილი ქულების რაოდენობა კი ქვეყნდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე და გადაეცემა პარლამენტის წევრებს.

ამდენად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ერთი მხრივ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცესში შესაბამისი პირის მონაწილეობის უფლება და, მეორე მხრივ, თვითონ ეს პროცესი, რომელსაც საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ახორციელებს, მთლიანად *ექვეა კანდიდატთა კანონმდებლობით დადგენილ პროფესიულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით შერჩევის კონსტიტუციური მოთხოვნის ქვეშ და ამიტომ, შედარებით უფრო ინტენსიურად უნდა დარეგულირდეს საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად.*

უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცესში შესაბამისი პირის მონაწილეობის კონსტიტუციური უფლების თვალსაზრისით, ასევე უნდა ითქვას, რომ „კონსტიტუციური დემოკრატიისთვის და, ზოგადად, ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული სახელმწიფოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, არსებობდეს მოქალაქეთა თანაბარი და რეალური წვდომა სახელმწიფო თანამდებობების დაკავებაზე, იმისათვის, რომ სახალხო სუვერენიტეტის იდეას პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობა მიეცეს.“<sup>28</sup>

გარდა ამისა, „სახელმწიფო თანამდებობაზე საქმიანობა, თავისი შინაარსით, წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის განსაკუთრებულ, სპეციფიკურ სეგმენტს. მისი სპეციფიკურობა უპირველესად განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ამ შემთხვევაში დამსაქმებელს წარმოადგენს სახელმწიფო. დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და, როგორც სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული შრომითი ურთიერთობების ერთობლიობა, გარკვეულწილად წარმოადგენს სახელმწიფო რესურსს, რომელზე წვდომაც თითოეულ მოქალაქეს თანაბრად უნდა გააჩნდეს.“<sup>29</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, „ზემოაღნიშნული იდეების პრაქტიკული რეალიზაციისა და ეფექტურად დაცვის გარანტიას სწორედ საქართველოს კონსტიტუციის (ძველი რედაქციის) 29-ე მუხლი წარმოადგენს. საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის 29-

<sup>28</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვალის №3/1/659 გადაწყვეტილება, II-10;  
<sup>29</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის №1/2/569 გადაწყვეტილება, II-5;

ე მუხლის პირველ პუნქტზე მსჯელობისას არაერთხელ განმარტა, რომ ის „იცავს მოქალაქის უფლებას, ჰქონდეს თავისუფალი წვდომა სახელმწიფო სამსახურზე...“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება №3/2/574 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-19). გარდა ამისა, „...კონსტიტუციის (თავდაპირველი რედაქციის) 29-ე მუხლი სახელმწიფოს ავალდებულებს, დაადგინოს სახელმწიფო თანამდებობაზე საქმიანობის გონივრული პირობები და გაუმართლებლად არ შეზღუდოს მოქალაქის უფლება, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო მართვაში, განახორციელოს საჯარო მნიშვნელობის ფუნქცია“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის N1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2).<sup>30</sup>

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, უნდა ითქვას, რომ ისევე როგორც ბევრი სხვა კონსტიტუციური უფლება, 25-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებაც არ არის აბსოლუტური. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლების შეზღუდვის კონსტიტუციურ-სამართლებრივ საფუძველს ითვალისწინებს თავად საქართველოს კონსტიტუციის (თავდაპირველი რედაქციის) 29-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად, საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, **თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს**. ამდენად, კონსტიტუცია აღნიშნული უფლების რეალიზებას გარკვეულ **წინაპირობებს** უდგენს, რომელთა განსაზღვრის უფლებამოსილებას კანონმდებელს ანიჭებს.<sup>31</sup>

მიუხედავად ამისა, შეიძლება ხაზგასმით აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მიერ პირის ძირითად უფლებასთან დაკავშირებით სამართლებრივი მოწესრიგების კანონმდებლისთვის მინდობა არ გულისხმობს მისთვის უპირობო თავისუფლების მინიჭებას. საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, კანონმდებლის უფლებამოსილების ფარგლების ამგვარი გაგება ეწინააღმდეგება კონსტიტუციის უზენაესობის, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს.<sup>32</sup>

იმისთვის, რომ განვსაზღვროთ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, თუ სად გადის კანონმდებლის თავისუფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი ზღვარი, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, უფრო ღრმად გავანალიზოთ საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკა. კერძოდ, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, „მართალია, საკონსტიტუციო სასამართლო, ... გასაჩივრებული ნორმის კონსტიტუციურობის საკითხს არ წყვეტს საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავს მიღმა არსებულ კონსტიტუციურ დებულებებთან მიმართებით, თუმცა კონსტიტუციური მართლმსაჯულების განხორციელებისას იგი კონსტიტუციას განიხილავს როგორც ერთიან ორგანიზმს. შეუძლებელია, სადავო საკითხის კონსტიტუციურობის სრულფასოვანი გადაწყვეტა, თუ სასამართლო კონსტიტუციის ნორმებს ერთმანეთთან კავშირში არ წაიკითხავს/განმარტავს.“<sup>33</sup>

ამიტომ, მოსამართლის თანამდებობასთან მიმართებით, საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის მაშინ მოქმედი რედაქციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტი გაანალიზა (კონსტიტუციის ძველი რედაქციის) 86-ე მუხლის მე-2 პუნქტის (მოსამართლის უვადოდ განწესების კონსტიტუციური წესის) ჭრილში და აღნიშნა, რომ „საქართველოს კონსტიტუციის 86-ე მუხლის მე-2 პუნქტი, მართალია, არ ადგენს პირის ძირითად უფლებას, თუმცა ის წარმოადგენს სახელმწიფო თანამდებობის პირის - მოსამართლისა და

<sup>30</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვალის №3/1/659 გადაწყვეტილება, II-12;

<sup>31</sup> იხ. იქვე, II-24;

<sup>32</sup> იხ. იქვე, II-25;

<sup>33</sup> იხ. იქვე, II-20;



ზოგადად სასამართლოს ინსტიტუციურ გარანტიას. ... *მოსამართლის ... განწესების კონსტიტუციურ დონეზე გადაწყვეტა პირდაპირ კავშირშია საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლში გარანტირებულ მოქალაქის უფლებასთან, დაიკავოს სახელმწიფო თანამდებობა. შესაბამისად, ვინაიდან სადავო ნორმა განსაზღვრავს მოსამართლის თანამდებობის დაკავების წესს, საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის განმარტება უნდა მოხდეს სისტემურად, საქართველოს კონსტიტუციის 86-ე მუხლის მე-2 პუნქტთან კავშირში, რათა შესაძლებელი გახდეს ძირითადი უფლებების დამდგენი და ინსტიტუციური კონსტიტუციური დებულებების საერთო სულისკვეთების აღქმა.*<sup>34</sup>

შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გასაჩივრებული საკანონმდებლო ნორმები გავაანალიზოთ, არა მხოლოდ კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, არამედ, ასევე 61-ე მუხლის მე-2 და 63-ე მუხლის მე-6 პუნქტების ჭრილშიც. 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, უზენაესი სასამართლოს შემადგენლობაში შედის 28 მოსამართლე, რომლებსაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით უვადოდ, სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი; ხოლო, რაც შეეხება 63-ე მუხლის მე-6 პუნქტს, ამ ნორმის თანახმად, საერთო სასამართლოს მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს შესაბამისი უმაღლეს იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება. საერთო სასამართლოს მოსამართლის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია ორგანული კანონით. საერთო სასამართლოს მოსამართლე თანამდებობაზე განწესდება უვადოდ, ორგანული კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე. მოსამართლე შეირჩევა *კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის* ნიშნით.

ამდენად, ზემოაღნიშნული კონსტიტუციური ნორმები, ერთი მხრივ, განსაზღვრავენ კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული, მოქალაქის - მათ შორის, მოსამართლედ განწესების - უფლების რეალიზების პირობებს, ხოლო, მეორე მხრივ კი, კანონმდებლის მიერ ამ უფლების შეზღუდვის, მაშასადამე, მისი რეალიზაციისთვის გარკვეული წინაპირობების დადგენის უფლებამოსილების კონსტიტუციურ-სამართლებრივ ფარგლებს. შესაბამისად, ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გააფართოებს კანონმდებლის ამ კომპეტენციას და შეზღუდავს პირის კონსტიტუციის 25-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლებას დაიკავოს სახელმწიფო თანამდებობა, უნდა დაექვემდებაროს თანაზომიერების კონსტიტუციურ პრინციპთან შესაბამისობის თვალსაზრისით შემოწმებას.

უნდა ითქვას, რომ „კანონმდებელი ხელისუფლების განხორციელებისას შეზღუდულია ადამიანის ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით, რაც მას არ აძლევს შესაძლებლობას, *თვითმიზნური, არაგონივრული* და *არაპროპორციული* საშუალებების გამოყენებით შეზღუდოს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით განმტკიცებული ადამიანის ძირითადი უფლებები.“<sup>35</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, „თანაზომიერების პრინციპის თანახმად, „უფლების მზღუდავი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს *ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსაღებ და აუცილებელ საშუალებას*. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონჟესტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>34</sup> იხ. იქვე, II-21;

<sup>35</sup> იხ. იქვე, II-29;

II-60).<sup>36</sup> შესაბამისად, ჩვენი აზრით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, მოცემულ შემთხვევაში, უნდა შეაფასოს, დაცული იყო თუ არა თანაზომიერების პრინციპი სადავო ნორმით სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლების საკანონმდებლო რეგულირებისას.

ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, განვსაზღვროთ ის ლეგიტიმური მიზნები, რომლებიც ამ უფლების რეალიზებისათვის დადგენილ პირობებს გააჩნია, სწორედ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ განწესების თვალსაზრისით. როგორც უკვე ითქვა, საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების შესაბამისად, საქართველოს ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება დაიკავოს ნებისმიერი საჯარო თანამდებობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, **თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები, რომელთა სისტემა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით. 63-ე მუხლის მე-6 პუნქტით კი, საერთო სასამართლოს მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს შესაბამისი უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება. საერთო სასამართლოს მოსამართლის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები კი განისაზღვრება ორგანული კანონით. ამასთან, იგივე ნორმის შესაბამისად, მოსამართლის თანამდებობაზე განწესებისა და თანამდებობიდან გათავისუფლების წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34<sup>1</sup> მუხლი განსაზღვრავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის წესს, რომელიც დეტალურად იქნა გაანალიზებული ამ სარჩელის წინა ნაწილებში.

როგორც უკვე ითქვა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის არსებული წესი მიღებულ იქნა 2019 წლის პირველ მაისს და მის მიზანს წარმოადგენდა გასაზღვრულიყო უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატების წარდგენისა და არჩევის „უპრეცედენტოდ“ **გამჭვირვალე, საჯარო, ღია და ხანგრძლივი პროცესი**, რასაც, თავის მხრივ, უნდა შეექმნა **მაღალი კვალიფიკაციითა და კეთილსინდისიერებით** გამორჩეული კანდიდატების არჩევის **წინაპირობა**.<sup>37</sup>

გარდა ამისა, იმ უმნიშვნელოვანესი ფუნქციიდან გამომდინარე, რომელსაც საქართველოს უზენაესი სასამართლო ასრულებს, ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების ავტორებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, საკანონმდებლო დონეზე დეტალურად ყოფილიყო გაწერილი იმგვარი პროცედურული ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მართლმსაჯულების განმახორციელებელი უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს შესაფერისი მოსამართლეებით დაკომპლექტებას.<sup>38</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კი, აუცილებელი იყო უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შერჩევის პროცესი, **მოსამართლეთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები** და საბჭოს მიერ შერჩეული კანდიდატების საქართველოს პარლამენტისთვის ასარჩევად წარდგენის პროცედურები, საკანონმდებლო დონეზე, ისე ყოფილიყო

<sup>36</sup> იხ. იქვე, II-31;

<sup>37</sup> <https://info.parliament.ge/#law-drafting/17447>

<sup>38</sup> იქვე;

განსაზღვრული, რომ, ერთი მხრივ, *შესაფერის კანდიდატს მისცემოდა პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა და, მეორე მხრივ, საზოგადოებას ნდობა გასჩენოდა აღნიშნული პროცესის მიმართ.*<sup>39</sup>

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული საკანონმდებლო რეგულირებების მიზანს უნდა წარმოადგენდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი ისეთი კანდიდატების შერჩევა, რომლებიც *გამოირჩევიან მაღალი კვალიფიკაციითა და კეთილსინდისიერებით და ყველაზე მეტად შეესაბამებიან უზენაესი სასამართლოს მოსამართლის მაღალ სტატუსს.* გარდა ამისა, კანონმდებლის ნება იყო, რომ შერჩევის ეს პროცესი ყოფილიყო „უპრეცედენტოდ“ გამჭვირვალე, საჯარო და ღია, რათა მის მიმართ საზოგადოებას გასჩენოდა ნდობა. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ სწორედ ამ ლეგიტიმური მიზნების ჭრილში უნდა იქნეს გაანალიზებული სადავო ნორმები, როგორც მათი მიღწევის *გამოსადეგი და აუცილებელი საშუალებები.*

ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის მნიშვნელოვანი გარემოებაც, რომ, როგორც უკვე აღინიშნა, შუა და ქვედა რგოლის სასამართლოების მოსამართლეებისგან განსხვავებით, რომლებსაც თანამდებობაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭო განაწესებს, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა არჩევა შერეული წესით ხორციელდება, რომელშიც საბოლოო გადაწყვეტილებას საქართველოს პარლამენტი იღებს. მიუხედავად ამისა, პარლამენტის ეს კომპეტენცია შეზღუდულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შერჩეული და წარდგენილი კანდიდატებით.

როგორც უკვე ითქვა, ვენეციის კომისიის აზრით, საერთო სასამართლოების მოსამართლეთა არჩევის უფლებამოსილების გადაცემა პარლამენტისთვის არ არის მიზანშეწონილი, ამ პროცესის ზედმეტი პოლიტიზირების საფრთხის გამო,<sup>40</sup> განსხვავებით, თუნდაც, იგივე საკონსტიტუციო მოსამართლეებისგან, რომლებიც მათი განსაკუთრებული ფუნქციების გათვალისწინებით (მათ შორის, პარლამენტის აქტების გაუქმება და ა.შ.), შესაძლოა უფრო მეტად საჭიროებდნენ გარკვეულ დემოკრატიულ ლეგიტიმაციას.<sup>41</sup>

ამ მხრივ, მხედველობაშია ასევე მისაღები, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) დასკვნა, რომელიც შეეხება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნასთან დაკავშირებულ 2019 წლის პირველი მაისის საკანონმდებლო ცვლილებათა პროექტს. დასკვნაში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ ეუთოს რეგიონში მოსამართლეთა დანიშვნის სხვადასხვა მექანიზმის არსებობს, თუმცა ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროა თავიდან იქნას აცილებული არასათანადო პოლიტიკური გავლენა დანიშვნის პროცესზე; აგრეთვე, კანდიდატები უნდა შეირჩნენ მათი დამსახურების მიხედვით და არა პოლიტიკური მიზანშეწონილობით. დასკვნის თანახმად, სამოსამართლო საბჭო (იუსტიციის უმაღლესი საბჭო) არის ის ორგანო, რომელიც უნდა იყოს წამყვანი მოსამართლეთა შერჩევის, დანიშვნის და დაწინაურების პროცესში, რაც, თავის მხრივ, უნდა განხორციელდეს საკანონმდებლო ორგანოსაგან აბსოლუტურად დამოუკიდებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნის ავტორები მიიჩნევენ, რომ პრობლემურია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების არჩევა პარლამენტის მიერ და საჭიროა ამ საკითხის მკაცრი რეგულირება.<sup>42</sup>

<sup>39</sup> იქვე;

<sup>40</sup> **JUDICIAL APPOINTMENTS, EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION),** CDL-AD(2007)028 (Opinion No. 403 / 2006), Report adopted by the Venice Commission at its 70th Plenary Session (Venice, 16-17 March 2007), § 47;

<sup>41</sup> იხ. იქვე, § 7;

<sup>42</sup> ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) დასკვნა, ცვლილებების პროექტზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნასთან დაკავშირებით, § 82;

გარდა ამისა, დასკვნის შესაბამისად, იმ ფონზე, როდესაც კანონით მოსამართლეთა შერჩევასა და კარიერაზე გადაწყვეტილებებს საკანონმდებლო ორგანო იღებს, ევროპის საბჭოს რეკომენდაცია (CM/Rec(2010)12) აცხადებს, რომ „დამოუკიდებელი და კომპეტენტური ორგანო, რომელიც არსებითად სასამართლო ხელისუფლების მიერაა დაკომპლექტებული [...] არის უფლებამოსილი გამოსცეს რეკომენდაციები და დასკვნები, რომლებიც დანიშვნაზე უფლებამოსილმა ორგანომ უნდა განახორციელოს პრაქტიკაში.“ მიუხედავად ამისა, დასკვნის ავტორებისთვის რთული წარმოსადგენია, რომ კანონით პარლამენტი ვალდებული გახდეს, გაიზიაროს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიერ განხორციელებული შერჩევა, ამიტომ, მათი აზრით, ამ პროცესის ადაპტირება შესაძლებელია მოხდეს იმგვარად, რომ შეიზღუდოს პარლამენტის დისკრეცია და პოლიტიკური შეხედულებებისთვის უპირატესობის მინიჭების შესაძლებლობა.<sup>43</sup>

ამგვარი საკანონმდებლო ჩარჩოს პირობებში, კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იძენს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცესის ჯეროვნად განხორციელების კონსტიტუციური ვალდებულება. სწორედ ამ პროცესმა უნდა დააბალანსოს მოსამართლეთა განწყობების პროცესზე ნეგატიური პოლიტიკური ზეგავლენა, პარლამენტისთვის მხოლოდ მაღალი კვალიფიკაციითა და კეთილსინდისიერებით გამორჩეული და უზენაესი მოსამართლის მაღალ სტატუსთან ყველაზე მეტად შესაბამისი კანდიდატების წარდგენის მეშვეობით.

ამრიგად, სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების კონსტიტუციური მნიშვნელობის გათვალისწინებით, უზენაესი მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცესის კონსტიტუციური და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განხორციელებამ, ყველა კვალიფიციური კანდიდატი უნდა უზრუნველყოს იმგვარი სამართლიანი პროცედურით, რომელიც მაქსიმალურად გამორიცხავს შერჩევის პროცესიდან მათ თვითნებურ გამორიცხვას, რაშიც, გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, ერთი მხრივ, საბჭოს გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულების დაკისრებას, ხოლო, მეორე მხრივ, ამ დასაბუთების საფუძვლიანობისა და მართლზომიერების სასამართლოს მიერ გადამოწმების შესაძლებლობის დაშვებას. შეიძლება ითქვას, რომ ამ „*პროცესმა მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს კვალიფიციური, თანამდებობის შესაბამისი პირების დაუსაბუთებლად არდანიშვნის გამორიცხვა.*“<sup>44</sup>

როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების დასაბუთება აუცილებელია საბჭოს წევრების მიერ უკანონო, თვითნებური ან/და მიკერძოებული გადაწყვეტილების პრევენციისთვის. სასამართლოს განცხადებით, პირის პროფესიული დანიშვნისას, როდესაც გადაწყვეტილება არ წარმოადგენს პოლიტიკური პროცესის შემადგენელ ნაწილს, გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულების არარსებობა ქმნის უფლებამოსილების არაჯეროვნად განხორციელების საფრთხეს, მოსამართლეობის კანდიდატს ართმევს სამართლიანი სასამართლოს უფლებით ეფექტურად სარგებლობის შესაძლებლობას, ართულებს და ცალკეულ შემთხვევებში შეუძლებელს ხდის მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებას სასამართლოს მიერ. გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივი წინაპირობების ცოდნის გარეშე, კანდიდატისთვის რთულია შეარჩიოს სათანადო სტრატეგია საკუთარი უფლების დასაცავად. ამასთანავე,

<sup>43</sup> იხ. იქვე, § 84;

<sup>44</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის № 3/2/717 გადაწყვეტილება, პ. 30;

დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების არსებობის პირობებში, კანდიდატი მოკლებულია შესაძლებლობას, გამოასწოროს საკუთარი ხარვეზები, რადგან არ იცის, რის გამო ეთქვა უარი მოსამართლედ განწყებაზე და რა უნდა მოიმოქმედოს შემდგომ კონკურსზე წარმატების მისაღწევად.<sup>45</sup>

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების დასაბუთების თვალსაზრისით, მოსამართლის თანამდებობაზე განწყების პროცესში, შესაბამისი კრიტერიუმების თავისებურებების გათვალისწინებით, მიხედულების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება, ზოგადად, ემყარება რიგ **ობიექტურ** და **სუბიექტურ** კრიტერიუმებს. ობიექტურ კრიტერიუმთან შესაბამისობის დადგენა, ამ გადაწყვეტილების დასაბუთება და გადამოწმება სირთულეებს არ უკავშირდება და გადაწყვეტილების მართებულობის ობიექტური გადამოწმება შესაძლებელი ხდება. მაგალითად, ობიექტური გარემოებაა, აქვს თუ არა მოსამართლეობის კანდიდატს უმაღლესი იურიდიული განათლება, გააჩნია თუ არა შესაბამისი სამუშაო გამოცდილება, კანონმდებლობის ცოდნა და ა.შ. გადაწყვეტილების მიღებისას, შესაძლებელია, მიეთითოს ნებისმიერ იმ ობიექტურ გარემოებაზე, რომელსაც დაეყრდნო გადაწყვეტილების მიმღები პირი და დასაბუთდეს როგორ განაპირობა ამ გარემოებებმა გადაწყვეტილების მიღება. **ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, არ არსებობს რაიმე გონივრული ახსნა, თუ რატომ არ შეიძლება დასაბუთდეს მოსამართლეობის კანდიდატის ობიექტურ კრიტერიუმთან შესაბამისობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები.**<sup>46</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ რიგ სუბიექტურ კრიტერიუმებთან შესაბამისობის საკითხის დასაბუთება და შემდგომში ამ დასაბუთების გადამოწმება რთულ ამოცანას წარმოადგენს. რთულია ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების ობიექტური ახსნა, დასაბუთება, ამ დასაბუთების გადამოწმება, ასევე სწორი ან არასწორი გადაწყვეტის დადგენა/გადამოწმება. მაგალითად, მოსამართლეობის კანდიდატის პიროვნული მახასიათებლების შეფასება მეტწილად სუბიექტურია და, შესაძლებელია, ერთი და იმავე კანდიდატთან დაკავშირებით სხვადასხვა ობიექტურ შემფასებელს სხვადასხვა შეფასება ჰქონდეს. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ ნებისმიერი ასეთი გადაწყვეტა ემყარება გარკვეულ ობიექტურ, ახსნად დასკვნებს, ობიექტურ ფაქტორებს, რამაც ესა თუ ის სუბიექტური შეფასება განაპირობა. საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, „**დისკრეციული უფლებამოსილების მართებული გამოყენების შემოწმებისთვის დასაბუთებული უნდა იყოს (შესაძლებლობის ფარგლებში) თუ როგორ მივიდა შესაბამისი ორგანო ამა თუ იმ გადაწყვეტამდე. ამ თვალსაზრისით გადაწყვეტილების დასაბუთებულობა გულისხმობს, იმგვარი დასაბუთების მოთხოვნას, რომელიც შესაძლებელს გახდის იმ გზის სისწორის შეფასებას, რომლითაც გადაწყვეტილების მიმღები პირი მივიდა ამ გადაწყვეტამდე.**“<sup>47</sup>

გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, იმ შემთხვევებში, როდესაც უშუალოდ გადაწყვეტილება სუბიექტურ ასპექტებს შეეხება, თავად გადაწყვეტის სისწორე, როგორც წესი, ობიექტურად გადამოწმებას არ ექვემდებარება. ამავდროულად, ობიექტურად გადამოწმებადია ის გზა, რა გზითაც გადაწყვეტილების მიმღები ამ გადაწყვეტამდე მივიდა. არსებობს შემთხვევები, როდესაც გადაწყვეტა აშკარად დაუსაბუთებელია და აშკარაა, რომ გადაწყვეტილების მიმღებმა პირმა არასწორად გამოიყენა დისკრეციული უფლებამოსილება (მაგალითად, მოსამართლის პიროვნული მახასიათებლის დასადგენად გადაწყვეტილების მიმღები ორგანო/პირი უთითებს აშკარად არარელევანტურ გარემოებებზე). აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს

<sup>45</sup> იხ. იქვე, პ. 21;

<sup>46</sup> იხ. იქვე, პ. 23;

<sup>47</sup> იხ. იქვე, პ. პ. 24-25;

---

განცხადებით, *დასაბუთებულობა მოითხოვება მოსამართლის შერჩევის შესახებ ნებისმიერი ობიექტური თუ სუბიექტური კრიტერიუმის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისას*, თუმცა, შესაძლებელია, ეს მოთხოვნა კრიტერიუმის ბუნების მიხედვით განსხვავებული ხარისხის იყოს.<sup>48</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო თანამდებობის დაკავების აბსტრაქტული გარანტიების შექმნა არ არის საკმარისი უფლების სრულყოფილად დასაცავად. სამართლებრივი წესრიგი უნდა ქმნიდეს უფლების პრაქტიკული რეალიზების შესაძლებლობას, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს კანონმდებლის ვალდებულებას, შექმნას ისეთი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, შესაბამისი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, მისცემს *თანაბარ შესაძლებლობას*, დაიკავოს ესა თუ ის სახელმწიფო თანამდებობა. კანონი, რომელიც განსაზღვრავს მოსამართლის თანამდებობის დაკავებას და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ანიჭებს უფლებამოსილებას თანამდებობაზე დანიშნოს მოსამართლე - ფორმალური და მატერიალური შინაარსით უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციის თავდაპირველი რედაქციის 29-ე მუხლის მოთხოვნებს.<sup>49</sup>

ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნაა, რომ სახელმწიფო თანამდებობაზე, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე განწესება განხორციელდეს ობიექტურად. მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესების პროცესი უნდა აჩენდეს რაც შეიძლება ნაკლებ კითხვის ნიშნებს განწესებული პირის კვალიფიციურობასთან და მიღებული გადაწყვეტილების სისწორესთან დაკავშირებით. *პროცესმა მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს კვალიფიციური, თანამდებობის შესაბამისი პირების დაუსაბუთებლად არდანიშვნის გამორიცხვა*. მოსამართლის თანამდებობაზე კვალიფიციური პირების განწესების მოთხოვნა უკავშირდება არა მხოლოდ პირის უფლებას, დაიკავოს სახელმწიფო თანამდებობა, არამედ - საზოგადოებრივ ინტერესს - მართლმსაჯულება განახორციელონ მხოლოდ მოსამართლის თანამდებობასთან შესაფერისმა პირებმა, რომლებიც საკუთარი პროფესიული და პიროვნული მახასიათებლებით აკმაყოფილებენ ამ საპატიო თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ სტანდარტებს. ამასთანავე, მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესების პროცესის გამჭვირვალობა და კვალიფიციური მოსამართლეების განწესების მყარი გარანტიები ემსახურება საზოგადოებაში მართლმსაჯულებისადმი ნდობის განმტკიცებას. ცხადია, ნდობა მართლმსაჯულების სისტემისადმი გაიზრდება, თუ საზოგადოებამ იცის, რომ მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესების პროცესი იმგვარად არის ჩამოყალიბებული, რომ მაქსიმალურად უზრუნველყოფს კვალიფიციური, პიროვნული და პროფესიული ნიშნით შესაბამისი კანდიდატების მოსამართლის თანამდებობაზე განწესებას.<sup>50</sup>

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, გადაწყვეტილების დასაბუთება არ შემოიფარგლება მხოლოდ თანამდებობაზე *განწესების თაობაზე მიღებული აქტის დასაბუთების მოთხოვნით*. საქართველოს კონსტიტუციით დადგენილია დასაბუთების მოთხოვნა არა მხოლოდ ფორმალურად განწესების აქტთან დაკავშირებით, არამედ - *დასაბუთებულობა უკავშირდება თანამდებობის განწესების მთელ პროცესს (როგორ წარმოართა ეს პროცესი და რამ განაპირობა ამა თუ იმ კანდიდატის დანიშვნა ან დანიშვნაზე უარის თქმა)*. ეს კი პირველ რიგში გულისხმობს შეფასების როგორც კრიტერიუმების, ასევე მთლიანად შეფასების სისტემის ობიექტურ კრიტერიუმებზე მაქსიმალურად აგებას და სუბიექტური კრიტერიუმების მინიმუმამდე დაყვანას. სწორედ ამ პროცესმა უნდა განაპირობოს საბოლოო აქტში შესაბამისი წინაპირობების არსებობისა თუ არარსებობის ობიექტური დასაბუთება, რათა ნათლად იყოს ასახული კანდიდატის თანამდებობასთან შესაბამისობის თაობაზე მიღებული

---

<sup>48</sup> იხ. იქვე, პ. 26;

<sup>49</sup> იხ. იქვე, პ. 29;

<sup>50</sup> იხ. იქვე, პ. 30;

გადაწყვეტილების საფუძვლები. აღნიშნული მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც თავად პროცესის მომწესრიგებელი კანონმდებლობა ითვალისწინებს შესაბამის სტანდარტებს. მხოლოდ დასაბუთებული გადაწყვეტილების გადამოწმება არის შესაძლებელი, და არა ფორმალურად შედგენილი „შაბლონურად“ დასაბუთებული აქტის.<sup>51</sup> ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი გარემოებაა იმ თვალსაზრისით, რომ, მართალია, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა განწყობა არ ხდება უშულოდ იუსტიციის საბჭოს მიერ, მიუხედავად ამისა, იგი წარმოადგენს მთელი ამ პროცესის უმთავრეს რგოლს.

საკონსტიტუციო სასამართლოს თანახმად, კანდიდატების შერჩევისა და დანიშვნის პროცესის გამჭვირვალობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისეთ სახელმწიფო თანამდებობებზე განწყობასთან დაკავშირებით, როგორცაა მოსამართლე. კანდიდატების შერჩევის პროცესის გამჭვირვალობის მიღწევა შეუძლებელი იქნება, თუ შეფასების კრიტერიუმები არ არის მკაფიო და იძლევა დამნიშნავი სუბიექტების თვითნებობის შესაძლებლობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მკაფიო და მაქსიმალურად გადამოწმებადი უნდა იყოს, როგორც ობიექტური, ასევე, სუბიექტური კრიტერიუმების საფუძველზე კანდიდატის შეფასების სტანდარტებიც. ნათლად უნდა იყოს ასახული, რა გავლენას ახდენს/უნდა ახდენდეს კანდიდატების შეფასებაზე ობიექტური მახასიათებლები (მაგალითად, კანდიდატის განათლება, აკადემიური თუ პროფესიული გამოცდილება და ა.შ.), შეძლებისდაგვარად მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული სუბიექტური მახასიათებლების შეფასების სისტემაც, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს როგორც ობიექტური, ასევე, სუბიექტური კრიტერიუმების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებისა და მართებულობის შემოწმების შესაძლებლობას.<sup>52</sup>

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მისი 2017 წლის 7 აპრილის № 3/2/717 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად არ სცნო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილება, რომელითაც ხორციელდება რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა განწყობა. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველი გახდა ორი, უმნიშვნელოვანესი გარემოება. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, ერთი მხრივ, კანონმდებლობა შეიცავდა მოსამართლის დანიშვნა არდანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილების **დასაბუთების ვალდებულებას**, ხოლო, მეორე მხრივ, არსებობდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების **გასაჩივრების ეფექტური მექანიზმი**.

კერძოდ, როგორც უკვე აღინიშნა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, როდესაც ხდება რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა შერჩევა, შერჩევის ბოლო, მაშასადამე, კენჭისყრის ეტაპზე გადის მოსამართლეობის მხოლოდ ის კანდიდატი, რომლის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი მიიჩნევს, რომ მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს ან სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას ამ კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით მოსამართლეობის კანდიდატის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამი ქულების მაქსიმალური რაოდენობის არანაკლებ 70 პროცენტია. მაშასადამე, საბოლოო კენჭისყრა ხდება მხოლოდ იმ კანდიდატებს შორის, რომლებიც როგორც კეთილსინდისიერების, ისე, კომპეტენტურობის კრიტერიუმებით შეფასების საფუძველზე, შეესაბამებიან მოსამართლის თანამდებობისთვის დადგენილ საკმაოდ მაღალ მოთხოვნებს. აღნიშნული გარემოება, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ

<sup>51</sup> იხ. იქვე, პ. 31;

<sup>52</sup> იხ. იქვე, პ. 33;

მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების იმგვარ ფორმად, რომელიც შესაბამისობაში იყო საქართველოს კონსტიტუციის თავდაპირველი რედაქციის 29-ე მუხლთან.

ზემოაღნიშნულისგან განსხვავებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის წესი არ ითვალისწინებს იმგვარ სამართლებრივ მექანიზმს, რომელიც საბჭოს წევრებს დაავალდებულებდა ზემოაღნიშნული წესებით, ობიექტური და სუბიექტური კრიტერიუმებით განხორციელებული შეფასების შედეგების გათვალისწინებას საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

ასე, მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34<sup>1</sup> მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრები, კანდიდატის შეფასებისას, თითქოს უნდა ხელმძღვანელობდნენ 35<sup>1</sup> მუხლის პირველი და მე-3-მე-14 პუნქტებით განსაზღვრული კრიტერიუმებით, არ არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმი, რომელიც დაავალდებულებდა მათ, 34<sup>1</sup> მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების აუცილებლად კანონმდებლობით გათვალისწინებული კრიტერიუმებით შეფასების შედეგების საფუძველზე მიღებას და შემდეგ ეტაპზე, მხოლოდ საუკეთესო შედეგების მქონე კანდიდატთა გადაყვანას.

როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ რაიონული და სააპელაციო მოსამართლეობის კანდიდატების შეფასების წესთან დაკავშირებით განაცხადა, რომელიც, თავის მხრივ, გამომდინარეობს ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-12 პუნქტიდან,<sup>53</sup> „კანდიდატის შეფასების ... მნიშვნელოვანი ეტაპია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ შეფასების ფურცლების შევსება და აღნიშნული შეფასების ფურცლების დაჯამება. შემდგომ ეტაპზე გადასასვლელად აუცილებელია, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი მიიჩნევდეს, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს ან სრულად აკმაყოფილებს *კეთილსინდისიერების კრიტერიუმს*, ხოლო *კომპეტენტურობის კრიტერიუმის* ნაწილში მის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამი ქულების მაქსიმალური რაოდენობის არანაკლებ 70%-ია. მოსამართლედ დანიშნვისათვის კონკურსანტის კანდიდატურას ფარული კენჭისყრით მხარი უნდა დაუჭიროს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-მა.“<sup>54</sup>

უფრო მეტიც, საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ანალიზი ცხადყოფს, რომ თანამდებობაზე განწესების მარეგულირებელი კანონმდებლობა ითვალისწინებს საკმარის პროცედურულ გარანტიებს თვითნებობის გამოსარიცხად და შესაბამისად, დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ *გადაწყვეტილების დასაბუთების* ერთგვარი ფორმა კანდიდატების შეფასების ეტაპი, რომლის ფარგლებშიც საბჭოს თითოეული წევრი წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით ავსებს შეფასების ფურცელს. შეფასების ფურცლის მეშვეობით ხდება კანდიდატის ობიექტურ და სუბიექტურ კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენა. სუბიექტურ, კეთილსინდისიერების კრიტერიუმთან შეფასების ფარგლებში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ავსებს შეფასების ფურცელს და უთითებს სამი შესაძლო შეფასებიდან ერთ-ერთს - „არ აკმაყოფილებს“; „აკმაყოფილებს“, „სრულად

<sup>53</sup> „მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე გასამწესებლად კენჭი ეყრება მხოლოდ იმ მოსამართლეობის კანდიდატს, რომლის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი მიიჩნევს, რომ მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს ან სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას ამ კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით მოსამართლეობის კანდიდატის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამი ქულების მაქსიმალური რაოდენობის არანაკლებ 70 პროცენტია.“

<sup>54</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის № 3/2/717 გადაწყვეტილება, პ. 45;



აკმაყოფილებს“ კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კანონმდებლობა ითვალისწინებს კეთილსინდისიერების კომპონენტის დაყოფას მახასიათებლებად და კეთილსინდისიერების კომპონენტის ფარგლებში თითოეული მახასიათებლის შეფასებისას გასათვალისწინებელ საკითხებს ადგენს ობიექტური კატეგორიების სახით. სადავო აქტის 35<sup>1</sup> მუხლი ითვალისწინებს თითოეული კომპონენტით შეფასების წესსაც. კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი კანდიდატს აფასებს შესაბამისი ქულებით, რომელთა მინიჭების სტანდარტები წინასწარ არის დადგენილი. კერძოდ, კანონმდებლობა განსაზღვრავს თითოეული მახასიათებლისთვის მაქსიმალურ ქულათა ოდენობას.<sup>55</sup>

ამასთან, კანდიდატის შეფასება ზემოაღნიშნული ეტაპის ფარგლებში ხდება გამჭვირვალე კრიტერიუმების გამოყენებით და ითვალისწინებს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მახასიათებლების არსებობის დეტალურ დასაბუთებას. გადაწყვეტილების მიმღები კოლეგიური ორგანოს თითოეული წევრი შესაბამის შეფასების ფურცელში ასახავს ყველა იმ ფაქტობრივ წინაპირობას, რამაც მის მიერ ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღება განაპირობა. ამასთანავე, გამოსაყენებელი კრიტერიუმების ბუნების კვალდაკვალ განსხვავებულია დასაბუთების ხარისხი და დეტალურობა.<sup>56</sup>

ამდენად, რაიონული და სააპელაციო მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის ბოლო ეტაპზე გადადის ყველა ის კანდიდატი, რომელიც კეთილსინდისიერებისა და კვალიფიციურობის მახასიათებლებით შეფასების შედეგად გადალახავს კანონმდებლობით წინასწარ დადგენილ ზღვარს. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა არ ითხოვს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ, რაიონული და სააპელაციო მოსამართლეობის შერჩევის მიზნით განხორციელებული დასკვნითი კენჭისყრის შედეგების დასაბუთებას, საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, კონკურსის პროცედურა, მთლიანობაში იძლევა საბოლოო გადაწყვეტილების ფაქტობრივი წინაპირობების იდენტიფიცირების შესაძლებლობას. კენჭისყრის გზით მიღებული გადაწყვეტილების პირდაპირი დასაბუთების გარეშე, კონკურსის მთელი პროცესის გათვალისწინებით გასაგები ხდება, თუ როგორ მივიდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო საბოლოო გადაწყვეტილებამდე. მართალია, თეორიულად არ არის გამორიცხული, რომ კონკურსის მეორე ეტაპზე ყველაზე მაღალი შეფასებების მქონე კონკურსანტმა ფარულ კენჭისყრაში ვერ მოიპოვოს ხმათა საკმარისი რაოდენობა თანამდებობაზე დასანიშნად, კანონმდებლობა აღნიშნული საფრთხეების დაბალანსებისათვის ითვალისწინებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ *მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას*.<sup>57</sup>

კერძოდ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35<sup>4</sup> მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლეობის კანდიდატს უფლება აქვს, მოსამართლედ *განწესებაზე* უარის თქმის შესახებ საქართველოს *იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება* გაასაჩივროს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში, თუ მიაჩნია, რომ, (ა) კონკურსის ჩატარებისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი მიკერძოებული იყო; (ბ) კონკურსის ჩატარებისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის მიდგომა დისკრიმინაციული იყო; (გ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გადაამეტა საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას, რის შედეგადაც დაირღვა მოსამართლეობის კანდიდატის უფლებები ან საფრთხე შეექმნა სასამართლოს დამოუკიდებლობას; (დ) ინფორმაცია, რომელიც საფუძვლად დაედო ამ გადაწყვეტილებას, არსებითად მცდარია, რის დასადასტურებლადაც მოსამართლეობის კანდიდატმა

<sup>55</sup> იხ. იქვე, პ. 46;

<sup>56</sup> იხ. იქვე, პ. 47;

<sup>57</sup> იხ. იქვე, პ. 51;

შესაბამისი მტკიცებულებები წარადგინა; (ე) კონკურსი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დარღვევით ჩატარდა, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საბოლოო შედეგზე.

ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ზემოაღნიშნული წესი არ ვრცელდება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებზე, ვინაიდან, ითვალისწინებს მოსამართლის *განწესებაზე საბჭოს უარის* გასაჩივრების შესაძლებლობას, იმ დროს, როდესაც, უზენაესი სასამართლოს შემთხვევაში, საბჭო იღებს არა მოსამართლის თანამდებობაზე განწესების, არამედ, საქართველოს პარლამენტისათვის შესაბამისი კანდიდატის წარდგენის გადაწყვეტილებას. ამასთან ერთად, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას არ არის ვალდებული გაითვალისწინოს გასაუბრების შედეგად მიღებული ქულები (რის გამოც, ბოლო ეტაპზე საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატის ნაცვლად შეიძლება გავიდეს უფრო დაბალი შეფასების მქონე კანდიდატი<sup>58</sup>), შერჩევის პროცესი, საკმაოდ თვითნებურ სახეს იღებს, რომლისგან დასაცავად კანდიდატს პრაქტიკულად არანაირი ბერკეტი არ გააჩნია.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის წესისგან განსხვავებით, რაიონული და საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ განწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოქმედი რედაქცია შეიცავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას იმ საფუძვლებით, რომლებიც მოსარჩელისათვის იყო პრობლემატური საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის განხილვისას - კერძოდ კი, მისი *დასაბუთებულობის* თვალსაზრისით.

რაიონული და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეების შესარჩევი კონკურსის პირდაპირ კანონში გაწერილი გასაჩივრების პროცედურა გულისხმობს, უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის მიერ შემდეგი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას, კერძოდ, მოსამართლეობის კანდიდატის მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე უარის თქმის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე გადაწყვეტილება; მოსამართლეობის კანდიდატის მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე უარის თქმის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების თაობაზე გადაწყვეტილება.

შესაბამისად, საქალაქო და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატს, რომელსაც უარი ეთქვა კონკურსის რომელიმე ეტაპზე, გააჩნია მნიშვნელოვანი პროცესუალური ბერკეტი, რომ შეცვალოს მის მიმართ გამოტანილი უსამართლო გადაწყვეტილება. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არც ამ კონკურსის დროს, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას, აქვს დასაბუთების ვალდებულება, თუმცა უარის გასაჩივრების და სასამართლოს მიერ შერჩევა/განწესების მთელი პროცესის შესწავლისა და სამართლებრივი შეფასების შესაძლებლობა, კანდიდატს მაინც უტოვებს დარღვეული უფლების აღდგენის შესაძლებლობას.

ამა თუ იმ გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების თაობაზე მსჯელობისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, როგორც შესაფასებელი გადაწყვეტილების ბუნება, ასევე - სასამართლოს კომპეტენცია.

<sup>58</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის პირველი ეტაპის ანგარიში, ივნისი – სექტემბერი 2019, ეუთოს/ODIHR ანგარიში, გვ. 6, 28;

მოსამართლის თანამდებობაზე განწესების გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში სასამართლოს ობიექტურად არ აქვს და ვერ ექნება შესაძლებლობა სრულყოფილად შეაფასოს კანდიდატის შესაბამისობა, ან გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტის შეფასება ცალკეულ სუბიექტურ კრიტერიუმთან დაკავშირებით. აღნიშნული ერთ შემთხვევაში შეიძლება უკავშირდებოდეს სუბიექტურად შეფასებად კრიტერიუმს, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში თავად შესაფასებელი საკითხის სპეციფიკას. როდესაც მკაფიოდ არ არის განსაზღვრული თითოეული კრიტერიუმის შეფასების წესი და შესაფასებელი კომპონენტები, მოსამართლისათვის განსაკუთრებით რთულია იმის გადამოწმება, რამდენად სწორად ან/და სამართლიანად განხორციელდა შესაბამისი კომპონენტის შეფასება.<sup>59</sup>

მიუხედავად იმისა, რომ სადავო ნორმები სიტყვა-სიტყვით არ გამორიცხავს სასამართლო კონტროლს, სამართლებრივ ლოგიკას მოკლებული იქნებოდა იმის მტკიცება, რომ შესაბამის კანდიდატებს კონსტიტუციაზე, როგორც უშუალოდ მოქმედ სამართალზე, დაყრდნობით შეუძლიათ სასამართლო წესით დაიცვან თავიანთი უფლებები. რიგ შემთხვევაში, კონსტიტუციური უფლებებით სარგებლობა ვერ განხორციელდება შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არ არსებობის პირობებში, თუნდაც მაშინ, როდესაც არ არსებობს პირდაპირ ამკრძალავი ნორმა. მოცემულ შემთხვევაში თუ თეორიულად დავუშვებთ, რომ კანდიდატებს შეუძლიათ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების კონსტიტუციასა და სამართლის ზოგად პრინციპებზე დაყრდნობით გასაჩივრება, გაურკვეველია თუ რომელ სასამართლოს უნდა მიმართონ მათ, ან რა პროცედურებით უნდა იხელმძღვანელოს საქმის განმხილველმა სასამართლომ.

საქმეში *საქართველოს მოქალაქე ავთანდილ ჭაჭუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა*, რომ “საქართველოს კონსტიტუციის (ძველი რედაქციის) 29-ე მუხლით, საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ამდენად, საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც დააკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, შეუძლია დაიკავოს სახელმწიფო თანამდებობა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი - გახდეს მოსამართლე.” სასამართლოს განმარტებით, “სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლების დაცვით, საქართველოს კონსტიტუცია ესწრაფვის... უზრუნველყოს მოქალაქეთა თანაბარი დაშვება სახელმწიფო სამსახურში გონივრული და კონსტიტუციური მოთხოვნების შესაბამისად.”<sup>60</sup> *მოცემულ შემთხვევაში საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლება, როგორც ინსტრუმენტული უფლება, სწორედ საქართველოს კონსტიტუციით 25-ე მუხლით დაცული უფლების რეალიზებას და დაცვას ემსახურება. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებს სადავო ნორმებით ერთმევათ შესაძლებლობა სასამართლოს წესით ამტკიცონ რომ მათი უფლების შეზღუდვა არამართლობიერად განხორციელდა.*

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის წესი არა თუ არ გამორიცხავს თვითნებობის საფრთხეს, არამედ, გარკვეულწილად, ახალისებს კიდევაც მას, რაც, თავის მხრივ, გაუგებარს და ბუნდოვანს ხდის იმ წინაპირობებს, რომლებიც უნდა დააკმაყოფილოს შესაბამისმა კანდიდატმა იმისთვის, რომ წარმატებით გაიაროს შერჩევის პროცედურა. ამგვარი, ბუნდოვანება გამომდინარეობს იმ

<sup>59</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის №3/2/717 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები მთვარისა კვლიშვილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ II-29

<sup>60</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი მელაძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

გარემოებიდან, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის ვალდებული დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, კერძოდ კი ის, თუ რატომ მიანიჭა უპირატესობა ერთ კანდიდატს და უარი უთხრა მეორეს. ამგვარი პროცესი კი, არ გამოირიცხავს კონსტიტუციის 25-ე მუხლით გარანტირებული უფლების რეალიზაციის დაქვემდებარებას არა კანონიერი, არამედ, *თვითმიზნური, არაგონივრული* და *არაპროპორციული* პირობებისადმი, რაც წინააღმდეგობაშია საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებასთან, ვინაიდან, მოქალაქეს ართმევს შესაძლებლობას სრულყოფილად ისარგებლოს ზემოაღნიშნული კონსტიტუციური ნორმით გათვალისწინებული უფლებით.

გარდა ამისა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტი, რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა კანდიდატებს, უზენაესი სასამართლოს კანდიდატებისაგან განსხვავებით, საშუალებას აძლევს გასაჩივრონ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება, რომელიც შეეხება მათი განწესების საკითხს. სასამართლო კონტროლის ამგვარი მექანიზმის არარსებობა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებს შესაძლებლობას ართმევს დაიცვან მათი კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლება საბჭოს *უკანონო, თვითმიზნური, არაგონივრული* და *არაპროპორციული* გადაწყვეტილებისგან, როგორც ფორმალურად, ისე მატერიალურად, რაც, თავის მხრივ, წინააღმდეგობაშია არა მხოლოდ კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველ პუნქტთან, არამედ, ასევე, კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებასთან.

*2. სადავო ნორმების შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან*

მიგვაჩნია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის წესი ასევე არღვევს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ სამართლიანი სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებას. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია.“

როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, კონსტიტუციის დასახელებული ნორმა ადგენს უფლებას სამართლიან სასამართლოზე. იმისათვის, რომ შედგეს კონკრეტული დავის სამართლიანი სასამართლო განხილვა და საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილება იქნეს მიღებული, ეს უფლება, საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, უნდა შეიცავდეს შემდეგ მინიმალურ პირობებს, „პირის უფლებას მიმართოს სასამართლოს, მოითხოვოს მისი საქმის სამართლიანი საჯარო მოსმენა, გამოთქვას თავისი მოსაზრებები და დაიცვას თავი პირადად ან დამცველის მეშვეობით, სასამართლო განხილვა მოხდეს გონივრულ, შემჭიდროებულ ვადებში და საქმე განიხილოს *დამოუკიდებელმა, მიუკერძოებელმა* სასამართლომ.“<sup>61</sup>

ამდენად, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის პრინციპი, ობიექტურ კრიტერიუმთან ერთად, რომლთა თანახმად, დამოუკიდებლობა განიხილება როგორც სასამართლოს თანმდევი ღირებულება, მოიცავს უმნიშვნელოვანეს *სუბიექტურ კომპონენტს - ინდივიდის უფლებას*, მისი უფლებები და თავისუფლებები განსაზღვროს დამოუკიდებელმა მოსამართლემ. უნდა ითქვას, რომ ვენეციის კომისიის

<sup>61</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება. II. 1;

აზრით, დამოუკიდებელი მოსამართლეების გარეშე შეუძლებელია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სათანადოდ უზრუნველყოფა. ამიტომ, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა არის არა თვითმიზანი ან კონკრეტული მოსამართლის პრივილეგია, არამედ, იგი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საჯარო ინტერესს - მოსამართლეებს მიეცეთ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განსაზღვრისა და დაცვის უმნიშვნელოვანესი ფუნქციის ეფექტურად განხორციელების შესაძლებლობა.<sup>62</sup>

უნდა ითქვას, რომ ვენეციის კომისიის თანახმად, მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და - შედეგად - საზოგადოებაში სასამართლოს რეპუტაცია დამოუკიდებელია მრავალ ფაქტორზე, თუმცა, სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფელ ინსტიტუციურ წესებთან ერთად, უმნიშვნელოვანესია საქმის განმხილველი კონკრეტული მოსამართლის პროფესიული და პირადი მახასიათებლები.<sup>63</sup> ამიტომ, ინსტიტუციური წესები იმდაგვარად უნდა იქნენ ჩამოყალიბებული, რომ უზრუნველყონ მაღალი კვალიფიკაციისა და მაღალი პიროვნული სანდოობის მქონე მოსამართლეების არჩევა და იმგვარი პირობების შექმნა, რომელშიც მოსამართლეები შეძლებენ ზედმეტი ზეგავლენისგან თავისუფალ გარემოში მუშაობას.<sup>64</sup> უნდა ითქვას, რომ მხოლოდ კეთილსინდისიერებითა და კომპეტენტურობით გამორჩეულ სპეციალისტს შესწევს უნარი დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად განახორციელოს მოსამართლის ურთულესი და უმნიშვნელოვანესი ფუნქცია.

ამ მხრივ, მხედველობაშია ასევე მისაღები, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციაც, რომლის თანახმად, „მოსამართლის თანამდებობაზე კვალიფიციური პირების განწესების მოთხოვნა უკავშირდება ... საზოგადოებრივ ინტერესს - მართლმსაჯულება განახორციელონ მხოლოდ მოსამართლის თანამდებობასთან შესაფერისმა პირებმა, რომლებიც საკუთარი პროფესიული და პიროვნული მახასიათებლებით აკმაყოფილებენ ამ საპატიო თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ სტანდარტებს. ამასთანავე, მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესების პროცესის გამჭვირვალობა და **კვალიფიციური მოსამართლეების განწესების მყარი გარანტიები** ემსახურება საზოგადოებაში მართლმსაჯულებისადმი ნდობის განმტკიცებას. ცხადია, ნდობა მართლმსაჯულების სისტემისადმი გაიზრდება, თუ საზოგადოებამ იცის, რომ მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესების პროცესი იმგვარად არის ჩამოყალიბებული, რომ მაქსიმალურად უზრუნველყოფს **კვალიფიციური, პიროვნული და პროფესიული** ნიშნით შესაბამისი კანდიდატების მოსამართლის თანამდებობაზე განწესებას.“<sup>65</sup>

ამიტომ, ვენეციის კომისიის განცხადებით, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის გარანტიები, კონვენციის ნორმებისა და კონსტიტუციური პრინციპებიდან გამომდინარე, განსაზღვრული უნდა იქნენ კონსტიტუციით და შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით.<sup>66</sup> შეიძლება ითქვას, რომ ვენეციის კომისია მტკიცედ ემხრობა მიდგომას, რომლის თანახმად, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის

<sup>62</sup> REPORT ON THE INDEPENDENCE OF THE JUDICIAL SYSTEM PART I: THE INDEPENDENCE OF JUDGES, EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION), CDL-AD(2010)004 (Study No. 494 / 2008), Strasbourg, 16 March 2010, § 6;

<sup>63</sup> იხ. იქვე, § 7;

<sup>64</sup> იხ. იქვე, § 8;

<sup>65</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის №3/2/717 გადაწყვეტილება, II. 3 - 30;

<sup>66</sup> REPORT ON THE INDEPENDENCE OF THE JUDICIAL SYSTEM PART I: THE INDEPENDENCE OF JUDGES, EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION), CDL-AD(2010)004 (Study No. 494 / 2008), Strasbourg, 16 March 2010, § 20;

უზრუნველყოფელი პრინციპები უნდა აისახონ კონსტიტუციაში ან იგივე დონის, სხვა სამართლებრივ ნორმებში.<sup>67</sup>

ზემოაღნიშნულის თვალსაზრისით, ნიშანდობლივია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, სწორედ საქართველოს კონსტიტუცია „... წარმოადგენს სახელმწიფო თანამდებობის პირის - მოსამართლისა და ზოგადად სასამართლოს ინსტიტუციურ გარანტიას.“<sup>68</sup> ამდენად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს შემადგენლობის კომპოზიცია, უპირველესყოფლისა, განხორციელდეს კონსტიტუციის მოთხოვნათა შესაბამისად. ასე, მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, „მოსამართლე შეირჩევა *კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის* ნიშნით“, ამიტომ, კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებში, მოსამართლის თანამდებობასთან მიმართებით, ძირითადად, ზუსტად *კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის* ეს კრიტერიუმები უნდა მოვიაზროთ.

ამგვარად, *კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპი* მოითხოვს, რომ, მათ შორის, უმაღლესი ინსტანციის საერთო სასამართლოს მოსამართლე შეირჩეს სწორედ ზემოაღნიშნული კრიტერიუმებით. ამიტომ, მხოლოდ კონსტიტუციის შესაბამისი პროცედურების საფუძველზე შექმნილ და დაკომპლექტებულ სასამართლოს გააჩნია კონსტიტუციურ-სამართლებრივი ლეგიტიმაცია. როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, ევროკონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სასამართლო *იქმნება მხოლოდ კანონის საფუძველზე*. ევროპული სასამართლოს აღნიშნული განცხადება კი, თავის მხრივ, წარმოადგენს სამართლის უზენაესობის პრინციპის გამოვლინებას, რომელიც უნდა ახასიათებდეს კონვენციითა და მისი დამატებითი ოქმებით ნაგულისხმევ სამართლებრივი დაცვის სისტემებს. შესაბამისად, სამართლის უზენაესობის პრინციპის დარღვევით შექმნილ სასამართლოს *არ გააჩნია დემოკრატიულ საზოგადოებაში სამართლებრივი დაცვის განხილვის ლეგიტიმაცია*.<sup>69</sup>

უნდა ითქვას, რომ „კანონის“ ცნება, კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მნიშვნელობით, მოიცავს როგორც კანონმდებლობას, რომელიც განსაზღვრავს სასამართლოს ორგანიზებისა და კომპეტენციის საკითხებს, ისე ნებისმიერ სხვა შიდა სამართლებრივ აქტს, რომელთა დარღვევაც, უკანონოს ხდის ერთი ან მეტი მოსამართლის მონაწილეობას შესაბამისი საქმის განხილვაში. მეტიც, როგორც ევროსასამართლოს ზემოთ მოყვანილ გადაწყვეტილებაშია აღნიშნული, კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში მითითებული კანონის საფუძველზე „*შექმნილი*“ სასამართლოს კონცეფცია, თავისი არსით, გულისხმობს იმას, რომ ეროვნული სასამართლო სისტემის ფარგლებში მოსამართლეთა შერჩევის პროცესი, სამართლის უზენაესობის პრინციპიდან გამომდინარე, განხორციელდეს მოქმედი სამართლის ნორმების შესაბამისად.<sup>70</sup> ამდენად, ტერმინი „კანონის საფუძველზე შექმნილი“, მოიცავს არა მხოლოდ თავად „სასამართლოს“ არსებობის სამართლებრივ საფუძველს, არამედ, ასევე, მისი შემადგენლობის ფორმირებას.<sup>71</sup>

ევროპული სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ მისი პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში არსებული ცნების - „კანონის საფუძველზე შექმნილი“ - ობიექტს წარმოადგენს იმის უზრუნველყოფა, რომ „დემოკრატიულ საზოგადოებაში სასამართლო სისტემის ორგანიზაცია იყოს დამოკიდებული არა აღმასრულებელი ხელისუფლების მიხედულებაზე, არამედ,

<sup>67</sup> იხ. იქვე, § 22;

<sup>68</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის №3/2/717 გადაწყვეტილება, II. 3 - 21;

<sup>69</sup> *Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland*, § 97;

<sup>70</sup> იხ. იქვე, § 98;

<sup>71</sup> *Buscarini c. Saint-Marín (déc.)*, no 31657/96, 4 mai 2000 ; *Posokhov c. Russie*,

წესრიგდებოდა პარლამენტის მიერ მიღებული კანონით.“ გარდა ამისა, სახელმწიფოებში, სადაც კანონმდებლობა კოდიფიცირებულია, სასამართლო სისტემის ორგანიზაცია, ასევე, არ უნდა იქნეს დამოკიდებული სასამართლო ორგანოთა მიხედვლებაზე, თუმცა, ევროპული სასამართლოს აზრით, ეს არ გამოიხატავს იმას, რომ სასამართლოებს გააჩნდეთ შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის განმარტების გარკვეული თავისუფლება.<sup>72</sup>

გარდა ამისა, ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოება, რომ სასამართლოს მხოლოდ კანონის საფუძველზე შექმნის მოთხოვნა მჭიდრო კავშირშია მე-6 მუხლის პირველი პუნქტის სხვა ისეთ მოთხოვნებთან, როგორებიცაა სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, რომლებიც, თავის მხრივ, ასევე წარმოადგენენ დემოკრატიულ საზოგადოებაში სამართლის უზენაესობის ფუნდამენტური პრინციპის განუყოფელ ნაწილებს.<sup>73</sup>

სტრასბურგის სასამართლომ ასევე დაასკვნა, რომ სასამართლო სისტემის ორგანიზებისა და მისი კომპეტენციების მხოლოდ კანონის საფუძველზე განსაზღვრის მოთხოვნის უგულვებელყოფა დამოუკიდებლად განაპირობებს კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას. აქედან გამომდინარე კი, ამ პრინციპის, ისევე, როგორც კონვენციის იგივე ნორმით გათვალისწინებული დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნების დარღვევა, უკვე აღარ საჭიროებს იმის დამატებით შეფასებას, თუ რა ზეგავლენა იქონია ამგვარმა დარღვევამ უშუალოდ საქმის სამართლიან განხილვაზე.<sup>74</sup>

მხედველობაშია მისაღები, რომ ზემოაღნიშნულ საქმეში „*Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland*“, სასამართლომ შეაფასა თუ რა ზეგავლენას ახდენს სამართლიანი სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებაზე, მოსამართლეთა შერჩევის პროცედურის არალეგიტიმურად წარმართვა. ECHR-მა განხილულ შემთხვევაში, აპლიკანტის მიმართ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლების დარღვევა, სწორედ მისი საქმის კანონდარღვევით დანიშნული სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის მიერ განხილვას დაუკავშირა. ხოლო, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის, როგორც კანონდარღვევით დანიშნულად მიჩნევის საფუძველად კი, თავად ისლანდიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება მიიჩნია, რომლითაც, თავის დროზე, დადგენილ იქნა მოსამართლეთა შერჩევის პროცედურაში არსებული კანონდარღვევები.

უნდა ითქვას, რომ სასამართლოს ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე შექმნის მოთხოვნის თვალსაზრისით, ევროსასამართლო, პირველ რიგში, ამოწმებს იქნა თუ არა დაცული ეს კანონმდებლობა. ამიტომ, ამ საკითხთან დაკავშირებით ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებული დასკვნებიც ექვემდებარება ევროპული სასამართლოს ზედამხედველობას. მიუხედავად ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის განმარტებას, პირველ რიგში, ეროვნული სასამართლოები ახდენენ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, როგორც წესი, არ აყენებს მათ განმარტებას ეჭვებში, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ადგილი ჰქონდა შიდა კანონმდებლობის უხეშ დარღვევას.<sup>75</sup>

ადამიანის უფლებათა სასამართლომ დაასკვნა, რომ მას „უხეში“ დარღვევის შეფასების იგივე ტესტი უნდა გამოეყენებინა იმ შემთხვევაშიც, როდესაც, განსახილველი საქმის მსგავსად, დარღვევა განხორციელდა

<sup>72</sup> იხ. იქვე, § 99;

<sup>73</sup> იხ. იქვე;

<sup>74</sup> იხ. იქვე, § 100;

<sup>75</sup> იხ. იქვე;

ხელისუფლების სხვა შტოს მიერ, რომელიც, თავის მხრივ, აღიარებულია ეროვნული სასამართლოების მიერ. ამასთან დაკავშირებით, ევროპულმა სასამართლომ შეაფასა, თუ რამდენად გაითვალისწინეს ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართალით განსაზღვრული ზოგადი პრინციპები ეროვნულმა სასამართლოებმა, როდესაც განიხილავდნენ ხელისუფლების მეორე შტოს მიერ მოსამართლეთა განწყობების ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხს და, განსაკუთრებით, ჰქონდა თუ არა ადგილი *უხემ* დარღვევას, იმის განსაზღვრისას, იყო თუ არა ტრიბუნალი კანონის საფუძველზე შექმნილი.<sup>76</sup>

სასამართლოს განცხადებით, მისი პრეცედენტული სამართალით განვითარებული კრიტერიუმებიდან გამომდინარე, ეროვნული კანონმდებლობის *უხემ* დარღვევას წარმოადგენს ეროვნული ნორმების იმგვარი შეუსრულებლობა, რომლებსაც სასამართლოს შექმნის თვალსაზრისით გააჩნიათ ფუნდამენტური მნიშვნელობა და რომლებიც სასამართლო სისტემის შექმნისა და ფუნქციონირების არსებით ნაწილს წარმოადგენენ. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოს თანახმად, ეროვნული კანონმდებლობის ე.წ. *„უხემი“* დარღვევის კონცეფცია დაკავშირებულია სავარაუდო დარღვევის როგორც ბუნებასთან, ისე მის ინტენსივობასთან. ამასთან ერთად, ეფუძნებოდა თუ არა ტრიბუნალის (სასამართლოს) შექმნა ეროვნული კანონმდებლობის *უხემ* დარღვევას, ევროპულმა სასამართლომ, განხილულ საქმეში, ასევე გაითვალისწინა - არსებული ფაქტები რამდენად იძლეოდნენ იმ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ მოსამართლეთა განწყობების თაობაზე ეროვნული ნორმების დარღვევა უკავშირდებოდა შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის განზრახ, ან, მინიმუმ, აშკარა შეუსრულებლობას.<sup>77</sup>

დასკვნის სახით, სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ „მის პრეცედენტულ სამართალში, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას შორის ძალაუფლების გამიჯვნის ცნებას გააჩნია მზარდი მნიშვნელობა“. იგივე შეეხება „სასამართლოს დამოუკიდებლობის დაცვასა და მნიშვნელობას“. ზემოაღნიშნული პრინციპებიდან გამომდინარე, ისლანდიის წინააღმდეგ განხილულ საქმეში, ევროსასამართლომ შეაფასა, მოსამართლეთა დანიშვნა, ხომ არ განხორციელდა კანონის მოთხოვნათა იმგვარი დარღვევით, რომელიც *ექვემოთ დაყენებდა მოსამართლეთა დანიშნავი ორგანოს შესაბამისი უფლებამოსილების მართლზომიერ გამოყენებას და პროცესის სამართლიანობას*.<sup>78</sup>

მაშასადამე, იმისთვის, რომ მოსამართლის დანიშვნა, ევროკონვენციის თვალსაზრისით, არალეგიტიმურად ჩაითვალოს, მნიშვნელოვანია, რომ ეროვნული ნორმების დარღვევამ არსებითი ზეგავლენა იქონიოს სასამართლოს შემადგენლობაზე. ისე, როგორც ეს ისლანდიის წინააღმდეგ მიღებულ, ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში მოხდა, როდესაც უფლებამოსილი ორგანოს მიერ შერჩეული, საუკეთესო ქულების მქონე, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების ნაწილი, იუსტიციის მინისტრმა, თვითნებურად ჩაანაცვლა ნაკლები ქულების მქონე კანდიდატებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ისლანდიის იუსტიციის მინისტრი, როგორც ეს უზენაესი სასამართლოს მიერ იქნა დადგენილი, მოქმედებდა პროცედურული ნორმების აშკარა უგულვებელყოფით, როდესაც, უფლებამოსილი კომიტეტის მიერ შერჩეული, ყველაზე უფრო მეტად კვალიფიციური 15 წევრიდან 4 ჩაანაცვლა დაბალი შეფასებების მქონე კანდიდატებით, მათ შორის, განმცხადებლის საქმის განმხილველი მოსამართლით. ამიტომ, სასამართლოს განცხადებით, მოსამართლეთა განწყობების ზემოაღნიშნულმა პროცესმა, ერთი მხრივ, დააზიანა რწმენა,

<sup>76</sup> იხ. იქვე, § 101;

<sup>77</sup> იხ. იქვე, § 102;

<sup>78</sup> იხ. იქვე, § 103;



რომლის თანახმად, სასამართლო სისტემა დემოკრატიულ საზოგადოებაში უნდა შთააგონებდეს ხალხს, ხოლო, მეორე მხრივ, იგი წინააღმდეგობაში მოდიოდა სამართლის უზენაესობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპთან, რომლის შესაბამისად, სასამართლო უნდა შეიქმნას კანონის საფუძველზე. ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ განხილულ საქმეში წარმოდგენილი ფაქტების შეფასების საფუძველზე, ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებული დასკვნის გაკეთება, კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უმნიშვნელოვანეს გარანტიას აზრს დაუკარგავდა. ამიტომ, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემულ საქმეში ადგილი ჰქონდა მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას.<sup>79</sup>

ამ მხრივ, მხედველობაშია მისაღები, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენად შერჩეული 20 კანდიდატიდან, მხოლოდ 15 შედიოდა გასაუბრების დროს მიღებული 20 საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატთა სიაში. ეს და სხვა გარემოებები ერთმნიშვნელოვნად მიუთითებენ შერჩევის პროცესის უსამართლობაზე.

უნდა ითქვას, რომ, ისლანდიის შემთხვევისგან განსხვავებით, მართალია, საქართველოში მიმდინარე უზენაესის სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცესის კანონიერების შესახებ არ არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება, მაგრამ არსებობს ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის დასკვნა საკანონდებლო ხარვეზების შესახებ და **ეთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის ანგარიში (ODIHR)**<sup>80</sup>, რომელიც მომზადდა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მიმდინარე პროცესების მონიტორინგის საფუძველზე.

ODIHR-ის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს კანდიდატების შერჩევას მათი დამსახურების მიხედვით. კერძოდ, ის ადგენს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების გადაწყვეტილებები შერჩევის პროცესის განმავლობაში უნდა ეფუძნებოდეს ორ მთავარ კრიტერიუმს - კომპეტენტურობას და კეთილსინდისიერებას. ეს ორი კრიტერიუმი შემდგომ უფრო დეტალურადაა ჩაშლილი ქვეკრიტერიუმებად. თუმცა დამსახურების მიხედვით კანდიდატთა შერჩევისას ძალზედ უარყოფით გავლენას ახდენს ფარული კენჭისყრის წესი, და აგრეთვე რანგირებისა და წარდგენის პროცესის განმავლობაში მიღებული გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობა.

ECHR-ის ზემოთ განხილული საქმის მიხედვით, ODIHR აღნიშნავს, რომ **იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცედურების გაუმჭვირვალობამ, შეიძლება შედეგად მოიტანოს მოსამართლის თანამდებობაზე კანდიდატების თვითნებურად დანიშვნა, რაც თავის მხრივ ჩრდილს მიაყენებს დანიშვნის პროცესის კეთილსინდისიერებას და შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა, რომელიც აწესებს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მინიმალურ გარანტიებს.**<sup>81</sup> გარდა ამისა, საბჭოს არ მიუღია დამატებითი რეგულაციები, რომლებიც შეავსებდა მოქმედ კანონმდებლობას და უფრო დეტალურად დაარეგულირებდა წარდგენის პროცესის სხვადასხვა ეტაპებს მეტი გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების სასარგებლოდ და უზრუნველყოფდა ობიექტურ, დამსახურებებზე დაფუძნებულ შერჩევის პროცესს, აგრეთვე გედნერულ ბალანსს და მრავალფეროვნებას უზენაესი სასამართლოს შემადგენლობაში.

<sup>79</sup> პარ 123.

<sup>80</sup> [https://www.osce.org/ka/odih/429491?fbclid=IwAR3vBxnDiosRvUuOsZOCrfqKM9QJp37JE\\_hkfhm26Z-2I-jCnv4RPih1EQ;](https://www.osce.org/ka/odih/429491?fbclid=IwAR3vBxnDiosRvUuOsZOCrfqKM9QJp37JE_hkfhm26Z-2I-jCnv4RPih1EQ;)

<sup>81</sup> იქვე. გვ. 11;

გარდა ამისა, დასკვნაში აღნიშნულია, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ საჯარო სხდომაზე ფარული წესით კენჭი უყარა 137 განმცხადებლიდან 50 კანდიდატის შეყვანას შემოკლებულ სიაში. ODIHR-ის დაკვირვებით, ვინაიდან პირველადი შერჩევის თაობაზე გადაწყვეტილებების გასაჩივრებიდან მხოლოდ 5 სამუშაო დღე იყო გასული, საბჭოს წევრებს ცოტა დრო ჰქონდათ იმისათვის, რომ საკმარისად გაცნობოდნენ ვარგისად მიჩნეული ამდენი განმცხადებლების კვალიფიკაციას და გამოცდილებას. საბჭომ არ მიიღო ორგანული კანონით განსაზღვრული კენჭისყრისა და დაშვებული კანდიდატების კვალიფიკაციის შეფასების პროცედურა (წესი), რამაც კიდევ უფრო შეზღუდა პროცესის გამჭვირვალობა და სამართლებრივი სიცხადე.

ODIHR-ის დამკვირვებლებმა დააფიქსირეს, რომ გასაუბრებების დროს საბჭოს წევრები არ სარგებლობდნენ დადგენილი შეფასების ფორმით და არ აკეთებდნენ ჩანაწერებს შემდგომ ეტაპებზე მათი გამოყენების მიზნით. გარდა ამისა, საერთაშორისო რეკომენდაციების საწინააღმდეგოდ, კანონი არ ითვალისწინებს ინდივიდუალურ ან კოლექტიურ ახსნა-განმარტებით შეფასებას რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა პროცესის გამჭვირვალობა.

ამასთან, როგორც უკვე ითქვა, ფარული კენჭისყრის შედეგები არ მოდის ზუსტ თანხვედრაში უმაღლესი შეფასების მქონე 20 კაციან კანდიდატთა სიასთან და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცედურების გამჭვირვალობის ნაკლებობამ შეიძლება გამოიწვიოს მოსამართლეთა დანიშვნის თაობაზე თვითნებური გადაწყვეტილებების მიღება, **რამაც, თავის მხრივ, შეიძლება ზიანი მიაყენოს დანიშვნის პროცესის კეთილსინდისიერებას და გამოიწვიოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა.**<sup>82</sup>

შესაბამისად ODIHR-ის ანგარიშში უკიდურესად კრიტიკულად არის შეფასებული იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მიმდინარე პროცესები, რადგან იუსტიციის საბჭოს არ მოეთხოვება დასაბუთებული ახსნა-განმარტების წარდგენა შემოკლებულ სიაში კანდიდატთა შეყვანის, მათი რანგირებისა და შერჩეული 20 კანდიდატის სიის პარლამენტში წარდგენის თაობაზე. გარდა ამისა, ODIHR ასევე მიუთითებს, რომ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ქმედებების და გადაწყვეტილებების გასაჩივრების საშუალებას. ამიტომ მათი შეფასებით, **კანდიდატთა წარდგენის პროცესი მთლიანად მოექცა სასამართლო ხელისუფლების საზედამხედველო ორგანოს ხელში, რაც ეწინააღმდეგება ეუთოს ვალდებულებებს და საერთაშორისო სტანდარტებს.**

გარდა ამისა, როგორც წარმოდგენილი კონსტიტუციური სარჩელის წინა თავებში იქნა განხილული „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის წესი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და არღვევს, ერთი მხრივ, შერჩევაში მონაწილე კანდიდატის უფლებას, დაიკავოს საჯარო თანამდებობა, როდესაც იგი სხვაზე მეტად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ხოლო, მეორე მხრივ, მის უფლებას, სასამართლოში ეფექტურად გაასაჩივროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უსამართლო გადაწყვეტილება მისი შერჩევის პროცესიდან გამორიცხვის შესახებ და სასამართლოს მეშვეობით აღიდგინოს დარღვეული უფლება.

ამ მხრივ, მხედველობაშია მისაღები კიდევ ერთი, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი გარემოება. კერძოდ, ისლანდიის წინააღმდეგ შეტანილი საჩივრის<sup>83</sup> განხილვის დროს, „კანონის საფუძველზე შექმნილი

<sup>82</sup> 2019 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება საქმეში Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland, პარაგრაფი 122.

<sup>83</sup> იგულისხმება გადაწყვეტილება საქმეზე „Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland“;

სასამართლოს“ პრინციპის დარღვევაზე მსჯელობისას, ევროპულმა სასამართლომ, უპირველესყოვლისა, იხელმძღვანელა თვითონ ისლანდიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომლითაც საუკეთესო შეფასების მქონე სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა ნაწილის ჩანაცვლება იუსტიციის მინისტრის მიერ, მიჩნეულ იქნა კანონდარღვევად. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის კანონიერება ჯერ არ ყოფილა სასამართლოს მიერ შესწავლილი, მიგვაჩნია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მაინც გააჩნია საფუძველი ამ მხრივაც შეისწავლოს ნორმების კონსტიტუციურობა. ვინაიდან, თუკი იგი დაადგენს, რომ შერჩევის პროცესი მიმდინარეობდა საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 31-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების მოთხოვნათა დარღვევით, ეს უკვე არის საფუძველი იმისთვის, რომ, მინიმუმ, ეჭვქვეშ მაინც დადგეს სასამართლოს დაკომპლექტების კონსტიტუციური მართლზომიერება, მაშასადამე, ევროკონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის, სასამართლოს მხოლოდ (კონსტიტუციური) კანონის საფუძველზე შექმნის ფუნდამენტური მოთხოვნის დაცვა.

ამასთან, ის გარემოება, რომ უზენაესი სასამართლოს კანდიდატის შერჩევის პროცესში საბჭო არ არის ვალდებული დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, ისევე როგორც, ამ გადაწყვეტილებაზე ეფექტური სასამართლო კონტროლის არარსებობა, ვერ უზრუნველყოფს კანდიდატების შერჩევას აუცილებლად, მხოლოდ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის ნიშნით. აღნიშნული კი ნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის მომწესრიგებელი ნორმები და მთლიანად პროცესი არ ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებს, რომლის თანახმად, მოსამართლის თანამდებობაზე უნდა განწესდეს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის მახასიათებლების თვალსაზრისით, ყველაზე უფრო მეტად შესაბამისი კანდიდატი და ამიტომ, ამგვარი გზით დაკომპლექტებული სასამართლო შეუძლებელია მიჩნეულ იქნეს კონსტიტუციის, როგორც უზენაესი კანონის საფუძველზე შექმნილად.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის წესი არა თუ არ გამორიცხავს საბჭოს შესაბამისი უფლებამოსილების არასამართლიანად გამოყენებისა და თვითნებობის საფრთხეს, არამედ, გარკვეულწილად, ახალისებს კიდევაც მას, ვინაიდან გაუგებარს და ბუნდოვანს ხდის იმ წინაპირობებს, რომლებიც უნდა დააკმაყოფილოს შესაბამისმა კანდიდატმა იმისთვის, რომ წარმატებით გაიაროს შერჩევის პროცედურა. ამგვარი, ბუნდოვანება გამომდინარეობს იმ გარემოებიდან, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის ვალდებული დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, კერძოდ კი ის, თუ რატომ მიანიჭა უპირატესობა ერთ კანდიდატს და უარი უთხრა მეორეს. ამგვარი პროცესი არ გამორიცხავს მოსამართლეთა შერჩევის პროცესის დაქვემდებარებას არა კანონიერი, არამედ, *თვითმიზნური, არაგონივრული* და *არაპროპორციული* პირობებისადმი, რაც, თავის მხრივ, წინააღმდეგობაშია საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან, ვინაიდან, შესაბამის პირს ართმევს შესაძლებლობას საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების, ან მისთვის წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების განსაზღვრისას ისარგებლოს მხოლოდ *კეთილსინდისიერებისა* და *კომპეტენტურობის* ნიშნით შერჩეული მოსამართლეებისაგან შემდგარი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოთი.

---

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ კონსტიტუციურ სარჩელში მითითებული გასაჩივრებული ნორმები ასევე ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტს.

---

### III. შუამდგომლობები შენიშვნა 6

ა. შუამდგომლობა (შუამდგომლობები) მოწმის, ექსპერტის ან/და სპეციალისტის მოწვევის თაობაზე. შენიშვნა 7

ბ. შუამდგომლობა სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების თაობაზე. შენიშვნა 8

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ვშუამდგომლობთ სადავო ნორმების მოქმედების შეჩერებაზე.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით „თუ საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნორმატიული აქტის მოქმედებას შეუძლია ერთ-ერთი მხარისათვის გამოუსწორებელი შედეგები გამოიწვიოს, შეუძლია საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ან უფრო ნაკლები ვადით შეაჩეროს სადავო აქტის ან მისი სათანადო ნაწილის მოქმედება.“ აღნიშნული ნორმის საფუძველზე, ვშუამდგომლობთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეაჩეროს სადავო ნორმების მოქმედება.

საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილია საკონსტიტუციო სამართალწარმოების მნიშვნელოვანი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს უფლებების ან საჯარო ინტერესის პრევენციულ დაცვას იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფრთხე, რომ სადავო ნორმის მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს გამოუსწორებელი შედეგი. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „გამოუსწორებელი შედეგის დადგომა ნიშნავს ისეთ ვითარებას, როდესაც ნორმის მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს უფლების შეუქცევადი დარღვევა და დამდგარი შედეგის გამოსწორება შეუძლებელი იქნება ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაშიც კი.“<sup>84</sup>

აღსანიშნავია, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2019 წლის 18 სექტემბერს მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს **მოსამართლის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევის პროცედურის დაწყების თაობაზე**. კანდიდატობის მსურველთა განცხადებები მიიღება 19 სექტემბრიდან 9 ოქტომბრის ჩათვლით.<sup>85</sup>

შენიშვნა 6 - მოსარჩელეს შეუძლია წარმოადგინოს დასაბუთებული შუამდგომლობა საქმეზე მოწმის, ექსპერტის ან/და სპეციალისტის მოწვევის თაობაზე; არსებითი განხილვის ზეპირი მოსმენის გარეშე ჩატარების შესახებ; სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების თაობაზე და სხვ.

შენიშვნა 7 - დასაბუთებაში უნდა მიუთითოთ, თუ კონკრეტულად რატომ იწვევთ შესაბამის მოწმეს, ექსპერტს ან/და სპეციალისტს და განსახილველი საქმის გადასაწყვეტად რა მნიშვნელოვანი ინფორმაციის წარმოდგენა შეუძლიათ მათ. (ქვემოთ მოყვანილ ველში, გთხოვთ, მიუთითოთ ვისი მოწვევა გასურთ – მოწმის, ექსპერტის ან/და სპეციალისტის, ხოლო შემდეგ მათი ვინაობა, პროფესია, სამუშაო ადგილი და საკონტაქტო ინფორმაცია).

შენიშვნა 8 - გთხოვთ, ქვემოთ მოყვანილ ველში სასამართლოს წარმოდგინოთ ის მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ სადავო ნორმატიული აქტის მოქმედების შეჩერების მოთხოვნის საფუძვლიანობას.

<sup>84</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 19 თებერვლის საოქმოდ ჩანაწერი საქმეზე “საქართველოს მოქალაქე გიორგი მელაძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”.

<sup>85</sup> ხელმისაწვდომია: <http://hcoj.gov.ge/ge/uzenaesi-sasamartlos-mosamartleobis-msurvelta-gantskhadebebis-migheba-daitsko/3519>

ვაკანტურ პოზიციაზე უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატები შეირჩევიან სწორედ იმ პროცედურით, რომელსაც საქართველოს სახალხო დამცველი ხდის სადავოდ. როგორც სასარჩელო მოთხოვნაშია აღნიშნული, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის წესი ვერ უზრუნველყოფს შერჩევის სამართლიანი პროცედურით იმ კანდიდატებს, რომლებიც აკმაყოფილებენ შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. რაც მათ გაუმართლებლად უზღუდავს შესაძლებლობას, საკუთარი პროფესიული, თუ სხვა პიროვნული უპირატესობების შესაბამისად იქნენ შერჩეულნი საქართველოს პარლამენტის წინაშე წარსადგენად. გარდა ამისა, შერჩევის პროცედურა კანდიდატებს ასევე ართმევს იმის შესაძლებლობას, რომ ამ პროცესში მათ მიმართ მიღებული დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება გაასაჩივრონ სასამართლოში და ამ გზით აღიდგინონ დარღვეული უფლება.

შესაბამისად, ძალზედ მნიშვნელოვანია გამოცხადებულ ვაკანსიაზე შერჩევის პროცესი არ წარიმართოს იმ ნორმების საფუძველზე, რომელიც არღვევს პირის საჯარო თანამდებობის დაკავებისა და სამართლიანი სასამართლოს კონსტიტუციურ უფლებებს, რაც კონკრეტული კანდიდატისათვის, რომელსაც უარი ეთქვა, გამოიწვევს გამოუსწორებელ შედეგს.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „გამოუსწორებელი შედეგის დადგომა ნიშნავს ისეთ ვითარებას, როდესაც ნორმის მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს უფლების შეუქცევადი დარღვევა და დამდგარი შედეგის გამოსწორება შეუძლებელი იქნება ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაშიც კი. ამასთან, პირს ასეთი შედეგის თავიდან აცილების სხვა სამართლებრივი შესაძლებლობა არ უნდა გააჩნდეს.“<sup>86</sup>

შესაბამისად, სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების გადაწყვეტილების მისაღებად უნდა არსებობდეს კუმულატიურად შემდეგი გარემოებები:

1. გამოუსწორებელი შედეგის დადგომის საფრთხე, რომლის აღმოფხვრა ვერ მოხდება სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში;
2. აღნიშნული საფრთხე რეალური, გარდაუვალი, კონკრეტული და არა აბსტრაქტული/ ჰიპოთეტური ხასიათის მატარებელია;
3. ნორმის მოქმედების შეჩერება არ გამოიწვევს მესამე პირების ან/და საზოგადოებრივი ინტერესების გაუმართლებელ შეზღუდვას.

გამოცხადებული კონკურსი მოიცავს მხოლოდ ერთ ვაკანტურ პოზიციას, რაც რადიკალურად ზრდის საფრთხეს, რომ კანდიდატს, რომელსაც უარი ეთქვა, დიდი ხნის განმავლობაში აღარ მიეცეს შესაძლებლობა კვლავ მიიღოს მონაწილეობა უზენაესი სასამართლოს კანდიდატურისათვის გამოცხადებულ შერჩევის პროცესში, ერთი მხრივ, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შეზღუდული რაოდენობისა და, მეორე მხრივ, მათი თანამდებობაზე უვადოდ განწესების გამო.

უფლების შეუქცევადი და გამოუსწორებელი დარღვევის საფრთხე ვერ აღმოიფხვრება მხოლოდ სარჩელის დაკმაყოფილებით, რადგან უკვე გამოცხადებულ ვაკანსიაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭო კანდიდატების შერჩევას 9 ოქტომბრის შემდეგ დაიწყებს. ხოლო, თუ გავითვალისწინებთ საკონსტიტუციო სასამართლოში

<sup>86</sup> (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 20 მაისის №1/3/452,453 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 2 ნოემბრის №1/6/675 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „მპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „მპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-3).

სარჩელის განხილვის ვადებს, შესაბამისი კანდიდატის უფლების გამოუსწორებელი დარღვევის საფრთხის აღმოფხვრის ერთადერთ რეალურ საშუალებად, სწორედ სადავო ნორმების შეჩერების მექანიზმი რჩება.

უნდა აღინიშნოს, რომ სადავო ნორმებიდან გამომდინარე, მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევის ან შერჩევაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ყოველგვარი დასაბუთების გარეშე და არ არსებობს მისი გასაჩივრების შესაძლებლობა. ამდენად, კონკურსში მონაწილე კანდიდატს, რომელსაც უარი ეთქვა, არ ეძლევა შესაძლებლობა განსაზღვროს, რა საფუძველს დაეყრდნო იუსტიციის უმაღლესი საბჭო მის შერჩევაზე უარის თქმისას, რა თვალსაზრისით უნდა იმუშაოს თავის თავზე და რა ექნება გამოსასწორებელი სამომავლოდ წარმატების მისაღწევად, რაც, თავის მხრივ, ასევე ილუზორულს ხდის შესაბამისი კონსტიტუციური უფლების თუნდაც მომავალში რეალიზაციის პერსპექტივასაც. ამავე დროს, შერჩევაზე უარის თქმის დაუსაბუთებლობა ართულებს კანდიდატთა მიერ უფლების დაცვის შესაძლებლობას, ხოლო გასაჩივრების აკრძალვა კი სრულად გამორიცხავს მას. **ამდენად, სადავო ნორმებით დადგენილი რეგულირება, შერჩევის პროცესში მონაწილე კანდიდატების მიმართ გამოუსწორებელი შედეგის დადგომის რეალურ საფრთხეს შეიცავს.**

იმ შემთხვევაშიც თუ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 18 სექტემბერს გამოცხადებული ვაკანსიით დაინტერესდებიან ის კანდიდატები, რომლებიც უკვე მონაწილეობდნენ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად პარლამენტისათვის კანდიდატების წარსადგენად შერჩევის პროცესში და მათ მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით დაუსაბუთებლად ეთქვათ უარი, არ მიეცათ კონკრეტული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა, არსებობს რეალური საფრთხე იმისა, რომ მათ მიმართ ისევ უარყოფითი შედეგი დადგეს, რადგან სადავო ნორმა ვერ უზრუნველყოფს თვითნებური გადაწყვეტილების გამორიცხვას.

უნდა აღინიშნოს, რომ „გამოუსწორებელი შედეგის დადგომა აუცილებლად არ გულისხმობს უფლების სრულად, შეუქცევადად გაქრობას. თუ სადავო ნორმის მოქმედებას შეიძლება უფლების დამცრობა, მისი რეალიზების შესაძლებლობის შეუქცევადად შემცირება მოჰყვეს, მაშინ იგი ამ თვალსაზრისით გამოუსწორებელ შედეგებს აყენებს.“<sup>87</sup> ის ფაქტი, რომ სადავო ნორმის მოქმედების შედეგად კანდიდატებს, თუნდაც სრულად არ ერთმევათ კონსტიტუციის 25-ე მუხლით დაცული უფლება, თავისთავად არ გულისხმობს გამოუსწორებელი შედეგის არარსებობას. თუ სადავო ნორმის მოქმედების შედეგად უფლების რეალიზების შესაძლებლობის მნიშვნელოვნად და შეუქცევადად შემცირება ხდება, იგი გამოუსწორებელ შედეგებს აყენებს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიზნებისათვის.

უფლების დარღვევის გამოუსწორებელი და შეუქცევადი ხასიათის თვალსაზრისით, მხედველობაშია ასევე მისაღები ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) ანგარიში, რომელიც შეეხება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის პირველ ეტაპს.<sup>88</sup> როგორც ანგარიშშია აღნიშნული, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა ფარული წესით, სათითაოდ მოახდინეს კანდიდატების ქულებით შეფასება, მას შემდეგ, რაც დასრულდა გასაუბრება, თუმცა, ანგარიშის თანახმად, ფარული კენჭისყრით ნომინირებული 20 კანდიდატი არ წარმოადგენდა იმ კანდიდატთა 20 კაციან სიას, რომელთაც მიღებული ჰქონდათ უმაღლესი შეფასება.

<sup>87</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 1 ივნისის №3/2/717 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, საქართველოს მოქალაქეები მთვარისა კველიძეილი, ნაზი დოთიაძეილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

<sup>88</sup> *საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის პირველი ეტაპის ანგარიში*, ივნისი – სექტემბერი 2019, ეუთოს/ODIHR ანგარიში;

კერძოდ, შერჩეულ 20 კანდიდატს შორის არ აღმოჩნდა სიაში ყველაზე მაღალი ქულების მქონე 5 კანდიდატი.<sup>89</sup> ეს გარემოება, ერთმნიშვნელოვნად მიანიშნებს პროცედურის უსამართლობაზე, რომლის გამოსწორებაც, პრაქტიკულად შეუძლებელია.

ანგარიშის შესაბამისად, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არ მოეთხოვება დასაბუთებული ახსნა-განმარტების წარდგენა შემოკლებულ სიაში კანდიდატთა შეყვანის, მათი რანგირებისა და შერჩეული 20 კანდიდატის სიის პარლამენტში წარდგენის თაობაზე. ეს კი, ეუთოს აზრით, მნიშვნელოვნად უშლის ხელს გასაჩივრების შესაძლებლობას. გარდა ამისა, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ქმედებების და გადაწყვეტილებების ეფექტური გასაჩივრების საშუალებას.<sup>90</sup>

გარდა ამისა, კანდიდატთა შერჩევის მეორე ეტაპთან დაკავშირებით, ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2019 წლის 20 ივნისს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ საჯარო სხდომაზე ფარული წესით კენჭი უყარა 137 განმცხადებლიდან 50 კანდიდატის შეყვანას შემოკლებულ სიაში. ვინაიდან პირველადი შერჩევის თაობაზე გადაწყვეტილებების გასაჩივრებიდან მხოლოდ 5 სამუშაო დღე იყო გასული, საბჭოს წევრებს ცოტა დრო ჰქონდათ იმისათვის, რომ საკმარისად გაცნობოდნენ ამდენი განმცხადებლის კვალიფიკაციასა და გამოცდილებას. ეუთოს განცხადებით, საბჭომ არ მიიღო ორგანული კანონით განსაზღვრული კენჭისყრისა და დაშვებული კანდიდატების კვალიფიკაციის შეფასების პროცედურა (წესი), რამაც კიდევ უფრო შეზღუდა პროცესის გამჭვირვალობა და სამართლებრივი სიცხადე.<sup>91</sup> ეს გარემოება კარგად მეტყველებს, შერჩევის პროცესის ფორმალურ ხასიათზე, რომლის დროსაც არ ხდება კანდიდატების კანონმდებლობით დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობის არსებითი კვლევა და შეფასება.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ODIHR-ის განცხადებით, 50 კანდიდატით დაკომპლექტებული შემოკლებული სია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნდა კენჭისყრის დღესვე. საერთაშორისო რეკომენდაციების საწინააღმდეგოდ, 87 კანდიდატს, რომლებიც არ იქნენ მიჩნეული მოთხოვნების შესაბამისად, არ მიეცათ უარის თქმის დასაბუთება და არ მომხდარა მათი პირადად შეტყობინება უარის თქმის შესახებ.<sup>92</sup>

გარდა ამისა, ანგარიშში საუბარია ასევე სახალხო დამცველის წარმომადგენლის მიერ განხორციელებულ, ანონიმური კენჭისყრის ბიულეტენების ანალიზზე. ანგარიშში კერძოდ აღნიშნულია, რომ სახალხო დამცველის მხრიდან გამოთქმული იყო სერიოზული შემფოთება ანალიზის შედეგად გამოვლენილი კენჭისყრის პრაქტიკის შესახებ, რომლიც ბადებდა საკმარის ეჭვს, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წევრების უმრავლესობა (13 წევრიდან 10) წინასწარ იყო შეთანხმებული ხმათა იმგვარ განაწილებაზე, რომ მოკლე სიაში შესულიყო წინასწარ განსაზღვრული 45 კონკრეტული განმცხადებელი.<sup>93</sup> ამის, თაობაზე, ასევე აღნიშნული წარმოდგენილი კონსტიტუციური სარჩელის პირველ თავშიც.

ODIHR-ის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული კანდიდატების რეზიუმეების/ბიოგრაფიების გაანალიზის შედეგად, ასევე გაირკვა, რომ შემოკლებულ სიაში მოხვედრილ ზოგ კანდიდატს (როგორც მოსამართლეებს ისე არა-მოსამართლეებს) ბევრად ნაკლები კვალიფიკაცია და გამოცდილება ჰქონდა, ვიდრე ზოგიერთ „ჩაჭრილ კანდიდატს“. გარდა ამისა, ანგარიშის თანახმად, ბევრ უფრო კვალიფიციურ განმცხადებელს, მათ შორის, ყოფილ დამოუკიდებელ მოსამართლეებს და

<sup>89</sup> იხ. იქვე, გვ. 6;

<sup>90</sup> იხ. იქვე;

<sup>91</sup> იხ. იქვე, გვ. 20;

<sup>92</sup> იხ. იქვე;

<sup>93</sup> იხ. იქვე, გვ. 20-21;



გამოცდილ და მაღალი რეპუტაციის მქონე სამართალმცოდნეებს უარი ეთქვათ შემდეგ ეტაპზე გადასვლაზე.<sup>94</sup>

ODIHR-ის განმარტებით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ არ დაამტკიცა გასაუბრების ჩატარების წესი, რის გამოც პროცესი არაორგანიზებული, აგრეთვე ბუნდოვანი და არათანმიმდევრული იყო როგორც შინაარსობრივად, ისე ფორმატის თვალსაზრისით. ამასთან, ODIHR-ის რეკომენდაციების მიუხედავად, არ არსებობდა სტანდარტი კითხვების რაოდენობასთან და შინაარსთან, მათი დასმის წესთან და დროსთან, აგრეთვე გასაუბრების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით. პროცესი არ იყო თანმიმდევრული და კანდიდატებს წინასწარ არ ჰქონდათ ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ წარიმართებოდა პროცესი უშუალოდ მათ შემთხვევაში.<sup>95</sup> მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ODIHR-ის წარმომადგენელთა დაკვირვებით, გასაუბრების დროს საბჭოს წევრები არ სარგებლობდნენ დადგენილი შეფასების ფორმით და არ აკეთებდნენ ჩანაწერებს შემდგომ ეტაპზე მათი გამოყენების მიზნით. გარდა ამისა, საერთაშორისო რეკომენდაციების საწინააღმდეგოდ, კანონი არ ითვალისწინებს ინდივიდუალურ ან კოლექტიურ ახსნა-განმარტებით შეფასებას, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა პროცესის გამჭვირვალობა.<sup>96</sup>

ODIHR-მა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ფარული კენჭისყრის შედეგები არ მოდიოდა თანხვედრაში უმაღლესი შეფასების მქონე 20 კაციან კანდიდატთა სიასთან. დამკვირვებელი ორგანიზაციის განცხადებით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არ გაუკეთებია ახსნა-განმარტება აღნიშნულ „გადაცდომასთან“ დაკავშირებით. ხმათა უმრავლესობის მქონე მხოლოდ 15 კანდიდატი, ამავე დროს, იყო უმაღლესი შეფასების მქონე კანდიდატთა 20 კაციან რიცხვში, დანარჩენი 5 ყველაზე მაღალი ქულების კანდიდატი კი ჩანაცვლდა 4 მოსამართლით და ერთი სასამართლოს ყოფილი თანამშრომლით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ODIHR მიიჩნევს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცედურების გამჭვირვალობის ნაკლებობამ შეიძლება გამოიწვიოს მოსამართლეთა შერჩევის თაობაზე ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რაც ჩრდილს მიაყენებს დანიშნვის პროცესის კეთილსინდისიერებას.<sup>97</sup>

მნიშვნელოვანია ასევე, ის განმარტებები, რომლებიც ODIHR-მა გააკეთა კანდიდატთა შერჩევის გასაჩივრების უფლებასთან მიმართებით. კერძოდ, როგორც ანგარიშშია აღნიშნული, კანდიდატთა წარდგენის პროცესი მთლიანად დარჩა მხოლოდ სასამართლო ხელისუფლების სახედამხედველო (იგულისხმება იუსტიციის უმაღლესი საბჭო) ორგანოს ხელში და არ გახდა საბოლოოდ საერთაშორისო სამართლის ნორმით გადასაწყვეტი, რის შედეგადაც „ჩაჭრილ კანდიდატებს“ არ მიეცათ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა.<sup>98</sup>

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ODIHR-ის ანგარიშიდან ცალსახად გამომდინარეობს შერჩევის პროცესში მონაწილე კანდიდატთა უფლებების დარღვევის რეალური და შეუქცევადი საფრთხე, რომელიც შესაბამის განმცხადებლებს უსპობს არა მხოლოდ კონსტიტუციის 25-ე მუხლით გათვალისწინებული უფლების ეფექტურად რეალიზაციის, არამედ, მისი მომავალში აღდგენის შესაძლებლობას. ეს თვალსაჩინოდ ჩანს, თუნდაც, შერჩევის პროცესიდან იმ კანდიდატების გამორიცხვით, რომლებმაც გასაუბრების შედეგად დააგროვეს უმაღლესი ქულები, თუმცა ვერ მოხვდნენ საბოლოოდ დამტკიცებულ სიაში. მათთვის უფლების დარღვევით მიყენებული ზიანის გამოსწორება, ფაქტიურად შეუძლებელია, ვინაიდან

<sup>94</sup> იხ. იქვე;

<sup>95</sup> იხ. იქვე, გვ. 24;

<sup>96</sup> იხ. იქვე, გვ. 27;

<sup>97</sup> იხ. იქვე, გვ. 28;

<sup>98</sup> იხ. იქვე, გვ. 30;

გაუგებარია საბჭოს მიერ მათი დაწესებულების მიზნები და შესაბამისად, ისინი მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, თუნდაც შერჩევის მომავალ პროცესში გამოასწორონ ნაკლოვანებები, თუკი ასეთს, მართლაც, ჰქონდა ადგილი.

სადავო ნორმების შეჩერების მოთხოვნის თვალსაზრისით, მხედველობაშია ასევე მისაღები, რომ „ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ უნდა შეაფასოს ნორმის შეჩერებით გამოწვეული სხვათა უფლებების დარღვევის საფრთხეც.“<sup>99</sup> შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში არ იკვეთება რაიმე სახის იმგვარი ინტერესი, რომელიც გადაწონიდა კანდიდატთა კონსტიტუციური უფლების ეფექტური დაცვის ინტერესს. ცხადია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა ვაკანსიის შევსება თავისთავად გარკვეული საჯარო ინტერესის მატარებელია და იგი მართლაც ემსახურებოდა მართლმსაჯულების სისტემის გამართულ ფუნქციონირების უზრუნველყოფას, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გონივრულ ვადაში მიღების შემთხვევაში, სადავო ნორმების შეჩერება არ შექმნის ისეთ მომეტებულ საფრთხეს, რომელიც უპირატესი იქნებოდა შერჩევის წესში მონაწილე კანდიდატთა ინტერესების დაცვაზე. გარდა ამისა, არც გამოცხადებული ვაკანსიების რაოდენობაა იმდენად კრიტიკული, რომ ამან გამოიწვიოს უზენაესის სასამართლოს საქმიანობის პარალიზება ან, თუნდაც, გამოიწვიოს მნიშვნელოვანი შეფერხება.

2015 წლის 13 ნოემბრის საოქმო ჩანაწერში საქმეზე „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ” სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების შესახებ შუამდგომლობა შეიძლება იმ შემთხვევაში დაკმაყოფილდეს, თუ ასეთ გადაწყვეტილებას შეუძლია მოახდინოს მოსარჩელე მხარისათვის გამოუსწორებელი შედეგის თავიდან აცილება, მისი პრევენცია.“ ამ შემთხვევაში სადავო ნორმების შეჩერებით, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვერ შეავსებს ვაკანტურ თანამდებობებს, რითაც მოხდება უზენაესი სასამართლოს კანდიდატებისათვის გამოუსწორებელი შედეგის თავიდან აცილება და პრევენცია.

*კანდიდატთა უფლების შესაძლო დარღვევის აღმოფხვრა ვერ მოხდება ვერც საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებით, ვინაიდან მოსარჩელეთა მოთხოვნა რომც დაკმაყოფილდეს, ვაკანსიის შედეგების გადახედვა და უკვე შერჩეული მოსამართლეების კანდიდატთა მაგივრად სხვა პირების შერჩევა ვერ მოხდება. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით უფლების დარღვევა შეუქცევად ხასიათს ატარებს და, სავარაუდოდ, დარღვეული უფლების ფაქტის გამოსწორებას ვერ მოახდენს ვერც სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობა.*

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვთხოვთ საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე, შეაჩეროს სადავო ნორმების მოქმედება.

გ. კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სახის შუამდგომლობები. [შენიშვნა 9](#)

<sup>99</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 7 ნოემბრის №1/3/509 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე სოფიო ებრალიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9

შენიშვნა 9 - გთხოვთ, ქვემოთ მოყვანილ ველში სასამართლოს წარმოდგინოთ ის მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ შუამდგომლობის საფუძვლიანობას.



## IV. თანდართული დოკუმენტების სია

ა. დოკუმენტები, რომლებიც სავალდებულოა ერთვოდეს სარჩელს (გთხოვთ, მონიშნოთ შესაბამისი უჯრა)

- |   |                                     |
|---|-------------------------------------|
| 1. სადავო ნორმატიული აქტის ტექსტი.  | <input checked="" type="checkbox"/> |
| 2. მოსარჩელის წარმომადგენლის (წარმომადგენელთა) უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. | <input checked="" type="checkbox"/> |
| 3. სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.                                   | <input type="checkbox"/>            |
| 4. კონსტიტუციური სარჩელის ელექტრონული ვერსია.   | <input checked="" type="checkbox"/> |

ბ. სხვა დოკუმენტები:

- 1.
- 2.

საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილენი მოვალენი არიან, კეთილსინდისიერად გამოიყენონ თავიანთი უფლებები. საკონსტიტუციო სასამართლოსათვის წინასწარი შეცნობით ყალბი ცნობების მიწოდება იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას („საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლი)

მოსარჩელის ხელმოწერა:

თარიღი: 01.11.2019